

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# საქართველო საქართველო

ლიტერატურული საქართველო \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАРТВЕЛО

1 აპრილი 2022წ. №5 (4040) გამომცემის 91-ე წელი ფასი 1 ლარი

## Слава Україні! Героям слава! პოლიტიზირებული სულის კვთიანე

უსასტიკესი ომია უკრაინაში. სამყაროში, რომელშიც დაძლეულია სიკვდილი, სიკვდილი დაძლეულია სიკვდილზე უფრო ძლიერი სიყვარულით, ამ სამყაროში არ სრულდება ომები. ომის დროს ზესთასოფელსა და ამსოფელს შორის ზღვარზე აღმოჩნდება ცხოვრება, რომლის ყოველდღიურობაშიც სიკვდილი იჭრება და აზრს უკარგავს ყველაფერს, რაც წარმავალია; ფერფლად აქცევს, მიწასთან ასწორებს ირგვლივ ყოველივეს, მაგრამ ვერ ერევა და პირიქით, აძლიერებს სულს, განსაკუთრებით იმ სულს, რომელიც სარწმუნოებით და სიყვარულით მოქმედებს.

სარწმუნოებით და სიყვარულით მოქმედი ადამიანი, რომელმაც სიკვდილს თვალი გაუსწორა და რომელსაც სიკვდილმა თვალი აუხილა, გამირულად გაუძღვება ცხოვრების გაუსაძლის მოცემულობას და გაძლიერებული, განწმენდილი, გამარჯვებული დარჩება ამ ომში.



ჩვენ ვიცით კაცობრიობის ისტორიული გამოცდილება, რომ დამპყრობელი ვერ იქნება ვერასდროს გამარჯვებული, ის თავისივე არსშია დაღუპვისთვის განწირული და

▶▶ დასასრული. 80-2 გვ.



## „ევროპის კალაზი“ ლონდონში

### ბელორუსიდან დევნილი თეატრი მსოფლიოს აუზიზღავს

ლონდონის „ბარბიკან ცენტრის“ სცენა ამ დღეებში ბელორუსის თავისუფალი თეატრის მასპინძლად იქცა. მინსკიდან დევნილმა თეატრმა ბრიტანეთის საბჭოს დახმარებით შეძლო ლონდონელი პუბლიკისთვის თავისი ბოლო სპექტაკლი „ევროპის კალაზი“ ეჩვენებინა.

მათი სცენური თხზულება ემყარება ბელორუსელი მწერლის ალჰერდ ბახარევიჩის ამავე სახელწოდების რომანს, რომელიც 2017 წელს დაიბეჭდა და უმაღ აიკრძალა ლუკაშენკოს რეჟიმის მიერ. თავად მწერალი კი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ეს წიგნი ჯერ უცხო ენებზე არ უთარგმნიათ და ამ მიზეზით თითქმის არაფერ იცნობს.


ამ დისტოპიურ სანახაობაში, რომელიც მომავლის ყველაზე უარესი განვითარების სცენარს გულისხმობს, 2019 წლიდან 2049 წლამდე პერიოდს მოიცავს. მინსკიდან დევნილი რეჟისორები ნატალია კალიადა და ნიკოლაი ხალეზინი წამდვილ ჯოჯოხეთში ამოგვაცოფინებენ თავს, როცა ევროპის სახელმწიფოები და რუსეთის რაიხი ერთმანეთის პირისპირ რჩებიან და მინსკთან ახალი კედელი აღიმართება!

საქართველოში მრავალი თეატრი და ნიჭიერი შემოქმედებითი ჯგუფია, რომელიც აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ბახარევიჩის ამ რომანის ქართული ადაპტაციით და რაც შეიძლება მალე დაიწყოს მასზე მუშაობა. ბახარევიჩი ნოვატორია ლიტერატურაში, დღეს, ბარე ორ ქვეყანას არ ჰყავს ასეთი თამამი და თანამედროვე მწერალი და სანამ ის ითარგმნება ქართულად, სცენას შეუძლია, დაასწროს.

გიორგი ლალიაშვილი  
ლონდონიდან

## დონალდ რაიფილდი – 80 ქართველოლოგიური ხასიათი

თუ ქართული ხასიათი არსებობს, ქართველოლოგიური ხასიათიც არსებობს. ზუსტად ძნელია იმის ახსნა, თუ როგორია ეს ხასიათი, მაგრამ თუ ვინმე თვალსაჩინოდ გამოხატავს მას, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ეს არის დონალდ რაიფილდი.



ნიჭი, შინაგანი ენერგეტიკა, მრავალმხრივობა, თავისუფლება, სიყვარული, ერთგულება და უდიდესი ადამიანური უნარი – იუმორის გრძობა – ეს არის ხასიათი, რაც გვცობლავს, გვარწმუნებს, გვაახლოებს.

ლიტერატორი, ლინგვისტი, ისტორიკოსი, მთარგმნელი, ფილოსოფიის დოქტორი, დედოფალ მერის ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი დონალდ რაიფილდი, რომელიც შემთხვევით არაფერს აკეთებს, შემთხვევით არაფერს ირჩევს.

ფუნდამენტური ხედვა აქვს, საგანს ყოვლისმომცველი თვალსაწიერით ხედავს, რასაც ერთვის მკაცრი ინტელექტი და ინდუქციის უნარი. ისე და იმისთვის არ წერს, რომ ყველას მოეწონოს, წერს ჭეშმარიტების სახელით, წერს იმისთვის, რომ სინამდვილის სტრუქტურა გახსნას, ნათელყოს, ცხადყოს ყველასთვის, ვისაც სურს, თავი დააღწიოს სტერეოტიპებსა და ცრურწმენებს.

ასე იკითხება და აღიქმება მისი წიგნები: „ქართული ლიტერატურის ისტორია“, „საქართველო – იმპერიათა გზაჯვარედინი“, „დიდი ქართული-ინგლისური ლექსიკონი“, „ანტონ ჩეხოვის ცხოვრება“, „სტალინი და მისი ხელქვეითები“. თუნდაც თარგმანები მიხეილ ჯავახიშვილის, ტიცინ ტაბიძის, ოთარ ჭილაძის შემოქმედებიდან.

რაიფილდის კონტრაპუნქტი, პოლიფონიური შემოქმედება. მისი წიგნები ყველას არ მოსწონს, რაც იმის ნიშანია, რომ მის წიგნებს კითხულობს ყველა, ვისაც აინტერესებს არაორდინარულად მოაზროვნე პრინციპული პროფესიონალის ტექსტები. მისი არცერთი შრომა და მონოგრაფია ერთმანეთს არ ჰგავს არც ფორმით, არც თემატურად, მაგრამ უაღრესად ადეკვატურია, ნიშნულია, საგულისხმო როგორც ავტორის მაღალი გემოვნების, ერუდიციისა და ორიგინალობის გამოხატულება.

მრავალსახოვანი მთლიანობა, ეს არის მისი თვისება, სპეციფიკური ნიშანი, ქართველოლოგიური ხასიათი – ჩვენი თვალსაწიერიდან.

|   |  |   |  |   |
|---|--|---|--|---|
| ორი სპექტაკლი<br><br>იოსებ ჭუმბურიკი<br>83.3 | ცისფარი პიონავი<br><br>ია კარაბატიანი<br>83.6 | შოთა ზოიძის ხსოვნას<br><br>ზაალ ჯანაიძის ლექსი<br>83.10 | ორი დონ-კიხოტი<br><br>გურამ გომიაშვილისგან<br>83.11 | ათი „ბარკული“<br>სიუჟეტი<br><br>ჯოისიდან დღემდე<br>83.12 |
|---|--|---|--|---|

პირველი გვერდიდან

ახლოა მისი ძლევამოსილების აღსასრული... და საერთოდაც, დასასრული ყოველთვის ახლოა. დასასრული მომდევნო წუთზეც უფრო ახლოა და ის შეაჯამებს ჩვენს ცხოვრებას. აუცილებელია ფიქრი დასასრულზეც და იმაზე, რაც მის შემდეგ იწყება.

ყოფილან ისეთნიც, მოსაგრეები და მონაბეები, და უცხოვრიათ იმგვარი ცხოვრებით, რომ გადაულახავთ საკუთარი არა თუ ოჯახური და ნათესაური, არამედ ნაციონალური სინამდვილის საზღვრებიც; დაუძლევიან თავიანთ დროში მყოფობის საზღვრებიც და მარადისობაში განხორციელებული სიცოცხლით, აქვე, ამ სამყაროშივე განდგომილი ინდივიდუალობით, ნაციონალურობით, ენობრივი ყოფიერებით დაბრუნებულან იმ ქვემარტ ზეციურ სამშობლოში, ყველას რომ გვაერთიანებს.

ერთი სამყარო გვაერთიანებს და გვაძლევს სიყვარულს, სიბრძნის შემოქმედებას და ამ სამყაროში არათუ არ იკარგება ჩვენი ნაციონალურობა, ნათესაობა და ჩვენი ინდივიდუალობა, არამედ თავის უაღმატებულეს ხარისხს აღწევს და სამყაროს სრულქმნის თანამონაწილეა. რამეთუ ყვე-

ნაპირზე რომ აღმოვჩნდეთ... არ დამთავრდება იმი ამქვეყნად და თუ დამთავრდება, დამყარდება იმზე საშიში მშვიდობა. ეს ყველა დროში იცოდნენ მათ, ვისაც ჭკუა მოეკითხებოდა ამ ქვეყანაზე.

ხოლო ვისაც არც ომის და არც მშვიდობის არ ეშინოდათ, მათ იცოდნენ, რომ ერთი გზა... იმ გზაზე უნდა იარო, განკაცებულმა ღმერთმა რომ შენთვის გაიარა და სიყვარულად უნდა იქცე ადამიანი, ესაა ჭეშმარიტება და გაგათავისუფლებს - მხოლოდ ჭეშმარიტება.

P.S. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, გავემიჯნო მოვლენათა პოლიტიკურ ინტერპრეტაციას, იმას, რასაც „სულის პოლიტიზირებას“ უწოდებენ და რაც, როგორც ამბობენ, თავისი ზედაპირულობით ბარბაროსობაში აბრუნებს კაცობრიობას. ამის გამო, მე შევეცდები, ამ კომენტარში უკიდურესად სიტყვაძუნნი ვიყო და მოკლედ ვთქვა ჩემი სათქმელი.

მე ვიცხოვრე საბჭოთა კავშირში, სპეციფიკურ საბჭოთა სივრცესა და დროში განხორციელებულ, ალბათ ყველაზე ტოტალიტარულ უტოპიურ სინამდვილეში. ცხადია, ჩვენი მანინ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო თავისუფლების შესახებ ფიქრი და დამოუკიდებლობის გზების ძიე-

# პოლიზიზირებული სულის კვთიგანი

ლაზე მაღალი შემოქმედებაა, როცა ადამიანისთვის საკუთარი ცხოვრება შემოქმედება; ხოლო ჭეშმარიტი შემოქმედება წარმოდგენილია რწმენის გარეშე, რადგან მხოლოდ რწმენა გვათავისუფლებს ადამიანური გონებით გარემომოწონილ ყოფიერების დახშული ჰორიზონტებიდან.

და ვისაც სწამს, რომ სიცოცხლე მხოლოდ რწმენით იქცევა ჭეშმარიტ შემოქმედებად, მან ისიც იცის, რომ სიყვარულია ჭეშმარიტი შემოქმედება და სიყვარულით ადამიანი შესაქმის ღვთაებრივი პროცესის თანაზიარი ხდება, და რომ ესაა მისი ადამიანურობის, მისი თავისუფალი ნების, მისი ინდივიდუალობის განმსაზღვრავი... ესაა მისი ყოფნა - მისი მარტოობა ღვთის წინაშე, და ყოველივე სხვა მყოფობა არის არყოფნა. რადგან მარტოა ადამიანი ღვთის წინაშე, უკან არის არარსი და წინ მარადიული სიცოცხლე; ღმერთთან მყოფობაში მას არავინ და არაფერი სჭირდება. ის მარტოა ღვთის წინაშე ყოფიერების საიდუმლოში; ის საკუთარი არსის მსხვერპლად მიძღვნილი ასაჩინოებს და სრულყოფს საკუთარივე არსს და აღივსება ნათელითა და სიყვარულით. ის მეფეა და მეფეზე ათიათასგზის აღმატებული ამ მარტოობით ღვთის წინაშე.

და თავისუფლება არის სწორედ ღმერთთან მარტო დარჩენა და გათავისუფლება ყველაფრისგან, ღმერთთან მარტო დარჩენის გამო. და ვინც მარტოა ღმერთთან, ის იხილავს, რომ სრულყოფილია სამყარო, და არ სრულდება ღვთიქმნილი სამყაროს სრულქმნა, და შენ, ადამიანს, საკუთარი არსების სრულყოფით სამყაროს სრულქმნის თანამონაწილე შეგიძლია იყო.

ხოლო ყველაზე დიდი უბედურება სწორედ ის არის, რომ ადამიანი ჰკარგავს ამ მარტომყოფობას ღმერთთან; ჰკარგავს იმ სიღრმეს, რომელშიც იგი მარტოა ღმერთთან; ჰკარგავს ღმერთთან მყოფობაში სიცოცხლეს და ღვთისა და ღვთიქმნილი სამყაროს და საკუთარი არსების მიღმა რჩება, რომელიც მისი ინდივიდუალური სიცოცხლის განმსაზღვრელია.

ცხოვრება არის სიკვდილის ტოლფასი ტკივილების გადალახვა იმ სამყაროში, სადაც სიკვდილია გადასალახი, სადაც წყვილია დასაძლევნი, და ტკივილების გარეშე ვერ მოვიპოვებთ სიხარულს, ვერ გავთავისუფლებდით ვერანაირი მონობისგან. უნდა მოვკვდეთ, სიკვდილი უნდა გადავიტანოთ, სიკვდილი ჩვენს გამოცდილებადა უნდა იქცეს, სიცოცხლის სხვა

ბა. გულახდილად რომ გითხრათ, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო პიროვნული თავისუფლების თემა, ვიდრე ნაციონალურისა და უკიდურესად ცოცხალი იყო ის ჭეშმარიტება, რომ შენ, ერთი ადამიანი, საკუთარ თავში სიყვარულის და ნათელის გზარდით და შესაბამისად, უსიყვარულობის და უმეცრების წყვილია შემცირებით, ადამიანი შეიძლება გამხდარიყავი უმნიშვნელოვანესი მოვლენების თანაზიარი.

მე ვფიქრობდი, რომ ძლიერი საზოგადოება ძლიერი პიროვნებების ერთობაა და მხოლოდ ასეთ საზოგადოებაში შეიძლება გამოჩნდეს თავისუფლების გზა პიროვნულ თუ ეროვნულ განზომილებაში. მე მაშინ გავიცანი ადამიანები, რომლებმაც კომუნისტური იდეოლოგიის ზეობის პერიოდში „პასპორტიან ტყვეობას“ „უპასპორტო ტყვეობა“ ამჯობინეს და რუსეთის ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში იპოვეს ის ადგილი, სადაც ყველაზე თავისუფალი შეიძლება ყოფილიყო ადამიანი ამ უზარმაზარ უსასტიკეს იმპერიაში.

მე ქრისტიანი ვარ და ვიცი, რომ არავის და არაფრის საწინააღმდეგოდ და დაპირისპირებაში არ უნდა ვიცხოვრო. მე მიყვარს არცოდნა - მიუწვდომელი ცოდნის ილუმინება და ცოდნა, რომელიც განგვეცხადა და გვეუწყა და რომელიც უნდა განსაზღვრავდეს ჩვენს მსოფლმხედველობას და ჩვენს ცხოვრებას. მე მრწამსს და ვადიარებ ერთ ჭეშმარიტ სწავლებას და ერთ ეკლესიას, რომელშიც მოქმედებს წმინდა სამების მესამე ჰიპოსტაზის განმაცხოვრებელი მადლი. და ამ ომთან დაკავშირებით, ყოველგვარი პოლიტიზირების გარეშე, მე მიიწვევს ვთქვა, რომ უკიდურესად მახინჯდება ქრისტიანობა იქ, სადაც გამართლებულია იმპერიალიზმი და გამართლებულია იმპერიალისტური მესიანიზმი და იმპერიალისტური ფსევდო ქრისტიანული მისია.

ვისურვებ, ამ ომმა, ამ ენითაღუნერებულმა უბედურებამ, უკრაინულ მიწაზე დაღვრილმა სისხლმა, ომის წარმოუდგენელმა სისასტიკემ და ბოროტებამ, ამ გაუსაძლისმა ტკივილმა და მწუხარებამ გაგათავისუფლოს და გამოგვიხსნას იმ სიცოცხლისგან, რომელშიც ვცხოვრობთ ჩვენ, თანამედროვე ადამიანები და დაგვანახოს სიცოცხლის ჭეშმარიტი არსი“.

ძეგვის გიორგი მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, ილუზინა მარიამი (ჯაფარიძე)



## ლონდონი - პეკინი

2022 წლის 5-7 აპრილს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და მწერალთა სახლი ლონდონის წიგნის ბაზრობაზე ეროვნულ სტენდს წარადგინენ.

საქართველო ლონდონის წიგნის ბაზრობაზე უკვე მერვედ იღებს მონაწილეობას და ტრადიციულად, ბრიტანულ წიგნის ბაზარზე ქართველი ავტორებისა და გამომცემლების პოპულარიზაციას ემსახურება.

საქართველოს ეროვნულ სტენდზე, რომელიც 18 კვ. მეტრს შეადგენს, წარ-

მოდგენილი იქნება 20-მდე დასახელები ახალი ქართული გამოცემა, ასევე ქართველი გამომცემლებს, მწერალთა სახლისა და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ მომზადებული კატალოგები. დამთავლიერებლებს სტენდზე 2016-2020 წლების ქართული წიგნის ბაზრის კვლევის ნახვაც შეეძლება.

ეროვნულ სტენდზე წარმოდგენილი იქნება უკრაინის თემაზე შექმნილი მხარდაჭერილი ილუსტრაციები, რომლებიც ქართველმა ილუსტრატორებმა გიორგი გაგომიძემ, სონია ელიაშვილმა, გიორგი ვინჭარაძემ და თონა ქანიშვილმა სპეციალურად უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად შექმნეს. ამ გზით ქართველი გამომცემლები კიდევ ერთხელ გამოხატავენ სრულ მხარდაჭერასა და თანადგომას უკრაინელი ხალხის მიმართ.

# გაგომცემელთა საერთაშორისო კონფერენცია



11-12 აპრილს, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ერთობლივი ინიციატივით გაიმართება კავკასიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონული საგამომცემლო კონფერენცია.

რეგიონულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად თბილისს ოცდაათამდე გამომცემელი და სფეროს ექსპერტი ესტუმრება არა მხოლოდ კავკასიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებიდან (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა), არამედ ევროპიდან და ამერიკიდანაც. უკრაინაში მიმდინარე ომის

გათვალისწინებით, კონფერენციის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, უკრაინელი მონაწილეები კონფერენციას ონლაინ შემოუერთდებიან, შესაბამისად, ლონდონში პიზრიდული ფორმატით გაიმართება. რუსეთი კი, რომელიც ასევე შავი ზღვის აუზის ქვეყნებს მიეკუთვნება, ბოიკოტის წინააღმდეგ, კონფერენციაზე მონაწილე არ იქნება.

კონფერენციაზე დასასწრებად რეგისტრაცია უკვე გაიარა 50-მდე ქართველმა გამომცემელმა. ამჟამად მიმდინარეობს რეგისტრაცია უცხოელი გამომცემლობებისთვის, რომლებსაც რეგისტრაციის გავლა 1 აპრილამდე შეუძლიათ ვებგვერდზე [epba.ge](http://epba.ge)

# საქართველოვ, შენ ვინ მოგხა უპილი დასაკარგავი

როცა ამ ადამიანებთან მაქვს ურთიერთობა, ერთობ მიჭირს, მათზე ვთქვა ან დავწერო სიტყვა „ემიგრანტები“, ეს ჩემი ემოციაა, ჩემი დამოკიდებულება ამ ადამიანებისადმი, მაგრამ სათაურში გატანილი ჯანსუღ ჩარკვიანის სტრიქონი მაინც თავში მიტრიალებს.

პირველად რომ ისრაელს ჩასულთა რაოდენობა დამისახებლეს, ლამის გაოგნებული დავრჩი, შვიდი-რვა ათასი, იქნებ, მეტიცო. მოგვიანებით კი ერთ-ერთ სუპერმარკეტთან შეხვედრილ ქართველს, სიგარეტის მოსაწვავად ურიკავზე ჩამომჯდარიყო, ნუთუ მართლა ამდენი ქართველი ხართ ისრაელში-მეთქი, რომ ვკითხე, გოცებულმა შემომხედა: ეგ რა არის, ბევრად მეტიცო.

ეს პასუხი სევდის მოგვრელიცაა და სასიამოვნოც. სასიამოვნო იმიტომ, რომ, ამ პასუხიდან გამომდინარე, საქართველოში 7-8 ათას თუ მეტ ოჯახს, ასე თუ ისე ნორმალური ცხოვრების საშუალება აქვს: ბავშვები სკოლებში ჩაცმულ-დახურულნი დადიან, სტუდენტები სწავლის ქირას იხდიან, ოჯახებს არც შუქი გაუთიშეს და არც გაზის მიწოდება შეუწყვიტეს იმის გამო, ნინა თვის გადასახადი რომ ვერ დაფარეს;

იმასაც კი ამბობენ, ზოგიერთნი ახალ ბინებს ყიდულობენ - საბინაო პირობებს იუმჯობესებენო. ეს ძალიან კარგია, ისიც კი მინდა ვთქვა: ბარაქა, ბარაქა და კიდევ ერთხელ ბარაქა, მაგრამ ჯანსუღ ჩარკვიანის მოხმობილი სტრიქონები მაინც თან რომ მდევს?

მართლაცდა, საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!


იმის ფიქრიც მდევს, მომავალში როგორ წარიმართება საქმეები, რა იქნება ხვალ?..

და სწორედ „ხვალ რა იქნებას“ პასუხის გამცემთა, სახვალის საქმის მომვლელთა საქმიანობის გამომხეურების (შექებისაც!) სურვილმა დამანერინა ეს სტრიქონები.

შექმნეს. მას მარინა გელაშვილი მეთაურობს.

ამას წინათ ჩვენმა ცნობილმა კრიტიკოსმა როსტომ ჩხეიძემ წერილების მომცრო (მომცრო როსტომის სქელტანიან, მძიმე წიგნებთან შედარებით, თორემ ერთობ ნორმალური ფორმატისაა) კრებული გამოსცა. ამ წიგნში მოთავსებულია პატარა წერილი მარინა გელაშვილის მიერ განულ ღვაწლზე. ამ რამდენიმე წლის წინათ კი, როგორც უკვე ითქვა, მარინა გელაშვილმა ისრაელში „ქართული კულტურის ცენტრი“ დააარსა.

მინდა, მკითხველს მარინა გელაშვილის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი წარმოვუდგინო, რათა ზოგადი წარმოდგენა მაინც ჰქონდეს ამ ქალბატონზე. მარინა სცენაზე გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ვნახე. იმ წლებში სიღნაღის თეატრმა ჩინებულად განახორციელა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ცარილი სარკე იყოს“ (დამდგმელი რეჟისორი მურად ვაშაკიძე). სპექტაკლი იმდენად საამო საცქერი და მოსასმენი გახლდათ, მოყვარულთა თეატრების მრავალ ფესტივალზე მიიწვიეს ევროპისა თუ ამერიკის კონტინენტზე,



# ქართული სანა თბილისისა და რუსთავის „დროის სწავლის“ მნიშვნელობა რამდენიმე მოსაზრება ორ ახალ სპექტაკლზე

1989 წელს კი ჩეხოსლოვაკიაში ბრატისლავის ფესტივალზე იყვნენ. ნოდარ დუმბაძის რამდენიმე ნაწარმოები პიესად მე გარდავთქვი და ამის გამო თეატრს ვახლდი. მარინამ აი, იქ ითამაშა თავისი პირველი როლი.

მერე ისრაელს მიაშურა და ასე მგონია, აქ მკაფიოდ გამოჩნდა, მისი პიროვნული მისწრაფებები, ორგანიზატორული ნიჭი: ადამიანების რაობის დასტური ხომ მისი საქმეებია, ის, თუ რას ესწრაფვის. თუ კაცი გონიერია, ადრე თუ გვიან თავისი იდეების განხორციელების გზასა და საშუალებებსაც მოინახავს. მარინა გელაშვილის, როგორც საზოგადო პირის, დიდ მიღწევად სწორედ ის მიმაჩნია, რომ მან იგრძნო აუცილებლობა, ერთი იდეით გავერთიანებინა ისრაელს მცხოვრები ქართველობა.

თუ ერთობ გადაჭარბებულად არ ჩამეთვლება, ეს ერთად ყოფნა საქართველოში ყოფნის ბადალია: ადამიანებს აერთიანებთ მშობლიური ენა, უცხო მიწაზე ცხოვრების ყოველდღიურობა, იქნებ, ხვალინდელი დღეც – ცხადია, სამშობლოში დაბრუნების ვგულისხმობ.

არადა, მათი ეს შეხვედრები ჩვეულებრივი ყოველდღიურობა არ გვეგონოთ. განა შეიძლება, უბრალო, ჩვეულებრივი იყოს შეხვედრები ადამიანებისა, რომლებიც თავაუღებელი, იქნებ, ვაჭარბებდე, მაგრამ მიძიმე შრომას ენევიან. და, თუ ასე არა – თუ მიძიმე შრომა არ გასწივ, როგორ უნდა შეძლო, ბინის ქირად თვეში 4-5 ათას შეეკლს (დაახლოებით 1500 დოლარს) იხდიდე; რაც უნდა ხელმომჭირნედ იცხოვრო, შუქის, წყლის, კვების, ტრანსპორტის გადასახადი 700-800 შეეკლს მაინც მიადევს. ეს ჩემი განგარნიშება იმთხუა გათვლილი, ვინც ოჯახითაა ჩასული, მარტოხელებს, ცხადია, ორჯერ, იქნებ, მეტად ნაკლები ხარჯის განვეა უნებთ, ოჯახით ჩასული კი არც ისე ცოტაა.

ახლა კი მინდა ერთი, 19 მარტის, საღამოს შთაბეჭდილება გაგიზიაროთ, ქალაქ ხოლოში ცოლ-ქმარ ზურაბ ბერიაშვილისა და ირინა დევედარიანის ოჯახში გატარებული საღამოსი. ირინა და ზურაბი, უკვე მრავალი წელია, ისრაელში ცხოვრობენ. ოჯახში შესვლისთანავე ყურადღებას იქცევს ბატონი ზურაბის ხელნაკეთობები – ხელმარჯვე ოსტატი თავად ქმნის საამო სანახავ კომპოზიციებს. ვათვალიერებდი მის ნამუშევრებს: მომწონდა და გულიც მწყებოდა იმის გამო, რომ ეს ნაკეთობები საქართველოს საგამოფენო სივრცეში არ არის მოთავსებული, მაგრამ მოგვიანებით ზურაბის ერთმა ფრაზამ უფრო დამწყვიტა გული: ყველაფერი ეს საქართველოში უნდა იყოს, იქ ეს ნიჭი უფრო მეტ გასაქანს პოვებს და განვითარდება-მეთქი, რომ ვთქვი, ბატონმა ზურაბმა „ეგ იქ არაფის აინტერესებს“. ამ ფრაზამ ჩვენი უგულისყურობა გამახსენა, ის, ზოგჯერ რაოდენ გულგრილად ჩაუვლით გვერდს თვითნაბად ნიჭს, ხალხურ შემოქმედებას. ამიტომ ნათქვამი სამართლიან საყვედურად მივიღე.

იმ საღამოს „ქართული კულტურის ცენტრს“ რეპეტიცია ჰქონდა დანიშნული – ქართულ ხალხურ სიმღერებს გადიოდნენ. მუსიკალური ინსტრუმენტებიც შეუძენიათ. აქ იყვნენ ნუკრი და გოდერძი გოგრიჭიანი, გიორგი სესიაშვილი, მამუკა უტრუტაშვილი, ლელა დევედარიანი, ქალბატონი ირინას დაია. ერთმანეთს ცვლიდა ქართული სიმღერა და საუბარი საქართველოზე, ქართულ მწერლობაზე, უფრო მეტად ნოდარ დუმბაძის პროზაზე – ვიგონებდით ამ ჩინებულ პიროვნებას, მისი ნაწარმოებების პერსონაჟებს. ამ საუბარში აშდოდიდან „ზომით“ შემოგვეხმინა ლადო ქელიძე. ლადო სამიოდ წელია ისრაელში ცხოვრობს – ამ ქვეყნის მოქალაქეა.

მეზობელ ოთახში სანაქებო ქართული სუფრაა გაშლილი ქართული კონიაკითა და ლელა და ირინა დევედარიანების ნახელავი სურნელოვანი კერძებით, მაგრამ საქართველოს რეალობაზე, მწერლობაზე საუბარი უფრო საინტერესოა, მით უმეტეს, რომ საუბარს დროდადრო ქართული სიმღერა ენაცვლება.


შესაძლოა, ამ ჩანაწერის დასაწყისი პესიმისტურად მოგეჩვენოს, ძვირფასო მკითხველო, მართალიც ბრძანდები. რალა თქვენ, მეც ეს გრძნობა მდევს, ამიტომ ჩამესმის ჯანსულ ჩარკვიანის სტრიქონი.

მინდა, ეს სულით ძლიერი, შრომის იქაურ რიტმს ნაზიარები ისრაელის ქართველები ხვალ თუ ზეგ სამშობლოში ვიხილო, რადგან მჯერა, ისინი ხვალინდელ საქართველოს ძლიერ ნაადგებინან.

## გურამ პათიაშვილი

### მწვანე ბარათის სევდა

თუმანიშვილის თეატრი. გიორგი სიხარულიძის სპექტაკლი – „მწვანე ბარათი“.



გიორგი „ჩემი რეჟისორია“; ნინელი ჭანკვეტაძე – კიდევ უფრო „ჩემი მსახიობი“.

ორივესთვის მივდიოდი.

არასოდეს დამავიწყდება ის განცდა, როცა ნინელი სცენაზე ვერ ვიცანი.

გიორგი მარგველაშვილის სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

ეს სრული გარდასახვა იყო.

დღეს კი თავიდანვე ვიცანი, მაგრამ მაინც მოვიწუხე – ტალანტის, ოსტატობის, პროფესიონალიზმისა და გემოვნების ჰარმონიით.

როგორ ძერწავს პერსონაჟს თითქმის უტექსტოდ?

გვეტყვიან, ყოფილი ბალერინააო და მეტიც არ უნდა: ჯერ მხოლოდ ხელების მოძრაობით ქმნის ხასიათს, ბოლოს კი აცეკვებამდეც მიდის.

და რამდენი ბრწყინვალე ნიუანსია ამ ცეკვაში?

თუნდაც ის, როგორ იქცევა არტისტის ხელი მომაკვდავი გედის თავად.

და როგორი სანატრელი ზომიერებაა ამ მსახიობურ „ანყვეტაში“!

ესეც გემოვნებაა!

ნინელი ჭანკვეტაძე მართლაც უნიკალური მსახიობია.

ნამდვილი ვარსკვლავი.

კი ვიტყვი ხოლმე, გემოვნება ნიჭის თვისებააო, მაგრამ ეს ყოველთვის არ დასტურდება.

და სწორედ გემოვნებაა ის, რის გამოც ძალიან ხშირად დავიბენ.

ამ სპექტაკლშიც გვხვდება ეპიზოდები, როცა ნიჭიერი მსახიობის თამაში გაფიქრებინებთ: „ამას თუმანიშვილი არ დაუშვებდა!“

ეს არც სიხარულიძემ უნდა დაუშვას.

ამჟამად წარმატებულია ირინა გიუნაშვილისთვის მთავარი როლი, მაგრამ სასურველია, მსახიობმა ნაკლები იფიქროს გარეგნული ხერხებით მაყურებლის მოხიზვლაზე, კიდევ უფრო გააღრმავოს და მეტყველი ნიუანსებით გამოხატოს პერსონაჟის ხასიათი და გრძნობათა ბუნება.

მთლიანობაში, სპექტაკლიც, უდავოდ, წარმატებულია – რეჟისორული ქარგითა და მიგნებებით; არა, უბრალოდ, მუსიკალური გაფორმებით, არამედ მუსიკოსთა აქტიური მონაწილეობით; ეკრანის ორგანული გამოყენებით; სერიოზული სათქმელისა და „დროის აღნიშვნით“...

სპექტაკლი გასართობიც არის და დამაფიქრებელიც; ტკივილიანიც და მხიარულიც. გვიჩვენებს, თუ რამდენი ტკივილი და სევდა ახლავს ბევრისთვის საოცნებო მწვანე ბარათს.

„მწვანე ბარათი“.

გასაგებია, რაზეც იქნება.

ნინო სადლობელაშვილი რომ „ნახევარი გულით“ არ დანერდა, ესეც უეჭველია.

გიორგი სიხარულიძე რომ ყველაფერს „მთელი გულით“ დგამს, ესეც ცნობილია.

ნახვა ღირს კი არა, აუცილებლად უნდა ნახოთ.

ნინელი მოგწუხავთ და აღგაფრთოვანებთ.

სპექტაკლი თან გაგართობთ და თანაც დამაფიქრებთ.

და თეატრში ხომ ამისთვის დავდივართ. ამისთვის დავგვიტოვა მიხეილ თუმანიშვილმა ნინელიც და გიორგი სიხარულიძეც...

### კუკარაჩას საჭიროება

იმ დროს, როცა თბილისში პოლიციელებს სახეში ფეხილს აყრიან და სამხრეთზე კეტრუქს ასხამენ, რუსთავის თეატრში სოსო ნემსაძე „კუკარაჩას“ დგამს.

აი, რატომ არსებობს თეატრი! რატომ უნდა არსებობდეს!

რეჟისორს, ალბათ, ასე „პირდაპირ არ დაუმიზნებია“, მაგრამ ხომ არსებობს ინტუიცია, როცა ხელოვანი დროს გრძნობს და აღნიშნავს კიდევც.

სოსო ნემსაძეს გამძაფრებული აქვს დროის შერგონება – იცის, როდის რა უნდა დადგას, მაგრამ მაინც არ დადგამს, თუ ზუსტად არ იცის, როგორ...



ო, ეს გალაკტიონი! ყველაზე და ყოველთვის თავს შეგახსენებს!

სოსო ნემსაძეს გამძაფრებული აქვს დროის შერგონება – იცის, როდის რა უნდა დადგას, მაგრამ მაინც არ დადგამს, თუ ზუსტად არ იცის, როგორ...

„ნოდარ დუმბაძე. „კუკარაჩა“. რამდენაირი „კუკარაჩა“ გვინახავს. რამდენი კუკარაჩა. სცენაზე, ეკრანზე, ტელეეკრანზე. წარმატებული რეჟისორით. წარმატებული როლებით... „კუკარაჩას“ დადგმა უკვე რისკია: აუცილებლად შეადარებენ. მაგრამ ხელოვნება ხომ თავისთავადაც რისკია?!

და, ვისაც ეს აშინებს, ხელოვანი არც არის.

სოსო ნემსაძე ხელოვანია. რეჟისორია.

ნამდვილი რეჟისორი!

არ დადგამს, თუ ორიგინალურ გადანყვეტას არ მოიფიქრებს – იდეით, სათქმელით, გამოსახვის ფორმებით...

აქაც ყველაფერი თავიდან ბოლომდე მოფიქრებული და გააზრებულია – პროლოგით, ეპილოგით, ამბით, ხასიათებით, პერსონაჟთა საარსებო სივრცით, „ცხოვრებასავით მოძრავი“ დეკორაციებით, რომელთაც თან ამშვენებენ და თანაც, „აფორიაქებენ“ მურტალოს მიერ ინგასთვის გაზავნილი ნითელი(!) ვარდები.

სპექტაკლსაც მურტალო კრავს. იწყება ასე:

უკვე დაბერებული, დანაჩანაკებული მურტალო ისევ მორფს ითხოვს. ისევ მუქარით. როცა მიიღებს, აფთიაქარს მაღლობს იმით გადაუხდის, რომ ერთ საინტერესო ამბავს მოუყვება. იმ ამბავს, ნოდარ დუმბაძემ „კუკარაჩაში“ რომ მოგვითხრო. ფინალში კი ისევ გამოჩნდება, ამბავს დაასრულებს და

ქვესკნელში გაუჩინარდება. ოღონდ გაუჩინარებამდე სასცენო ამბის მონაწილე ყველა პერსონაჟს (მრავლად არიან!) ერთად მიმართავს: „მე თქვენ ყველას სახეზე გიცნობთ!“ ვფიქრობ, სწორედ ამანუა ეს სპექტაკლი.

ამის სათქმელად დადგა სოსო ნემსაძემ. და კიდევ (ალბათ, უფრო მეტადაც) იმისთვის, რომ ბოლოს მაინც კუკარაჩა გამოვიდეს სცენაზე და საკუთარი თავი გაგაცნოს.

ანუ: სიკეთის დამარცხება შეუძლებელია.

არ შეიძლება, კუკარაჩა – სიკეთე მოკვდეს!

მიხეილ თუმანიშვილი წერს, თეატრი მაშინაც მიყვარს, როცა პრემიერაზე მარცხის სუნი ტრიალებსო.

ძალიან მესმის, მაგრამ ასეთი სუნისგან მაინც ღმერთმა დავგიფაროს.

წუხელ რუსთავის თეატრის პრემიერაზე წარმატების სუნი ტრიალებდა.

ეს უდავოა. „კუკარაჩა“ ნამდვილად შედგა.

შეიძლება, სპექტაკლი-დღესასწაულიც კი ვუნოდოთ.

არის სადავო და საკამათოც. მაგალითად, ჩემთვის ძნელი მისაღებია რეჟისორის ასეთი გადაწყვეტილება – შიგადაშიგ სიმღერების ჩართვა, უფრო ზუსტად, ტექსტის სიმღერებით ჩანაცვლება.

ვფიქრობ, ეს ორგანული არ აღმოჩნდა რეჟისორული ოსტატობით შეთხზული ამ თავისთავად ორიგინალური სპექტაკლისათვის.

კითხვაც კი გამიჩნდა: ეს სიმღერები რომ არ იყოს, სპექტაკლს რაიმე დააკლდებოდა?

მესმის, რომ ესეც ერთგვარი ექსპერიმენტია.

სოსო ნემსაძემ უკვე იმდენად განვრთნა რუსთავის თეატრის დასი, რომ დაე, აქაც მოსინჯონ ძალები, ამ მხრივაც გალადნენ მსახიობები, მაგრამ...

მაშინ მსახიობებმაც მეტი უნდა იმუშაონ იმისთვის, რომ სიმღერა ბუნებრივად დაიბადოს.

მინდა, იგივე ვუთხრა ინგას როლის შემსრულებელ მშვენიერ არტისტს: სასამართლოს ურთულეს სცენაში, შეკითხვებს რომ უპასუხებს, ხელში წყლის ბოთლი უჭირავს და ხშირ – ხშირად მოსვამს ხოლმე.

გასაგებია, რატომაც, მაგრამ დამაჯერებელი იქნება მაშინ, როცა ამას მექანიკურად არ გააკეთებს. ეს სულის მდგომარეობის გამომხატველი ქმედებაა, რაც ძნელად მისაღწევ ბუნებრივობასა და მაღალ ესთეტიკურ მოითხოვს. ამ დროს მეტყველებაც უკიდურესად ზუსტი და ბუნებრივი უნდა იყოს.

შეუძლებელია, არ ითქვას მაყურებელზე. აი, ამას ჰქვია პირთამდე საგსე დარბაზი!

და კიდევ უფრო გასახარი რამ: ახალგაზრდების სიჭარბე!

ისე, რატომ უნდა გვიკვირდეს?! მშვენიერი თეატრი.

შესანიშნავი დასი.

უნიჭიერესი რეჟისორი.

საინტერესო სპექტაკლები...

იარეთ, რუსთაველებო, თეატრში!

ამას თბილისელებსაც თამამად ვურჩევდი – რუსთავის თეატრის სპექტაკლებზე სიარულს.

და კიდევ: ეს სპექტაკლი ყველა პოლიციელმა უნდა ნახოს.

ნახოს და დაფიქრდეს, რატომ დანერა „კუკარაჩა“ ნოდარ დუმბაძემ ორმოცდაათი წლის წინათ და დღეს რატომ დადგა სოსო ნემსაძემ.

დაფიქრდეს იმაზე, თუ რა დიდი პასუხისმგებლობაა, იყო პოლიციელი.

იმავც, რომ კუკარაჩა დღესაც გვჭირდება.

იოსებ ჭუმბურიძე

▶ დასასრული დასაწყისი „ლს“ №34

მეშარ კვიტიანი

კარგად ვიცი, როგორ დაინერა ეს მოთხრობა, რომელსაც ნამდვილად თეატრთან ბევრი არაფერი აკავშირებს. კინოსტუდიაში დიდხანს მუშაობდა ზორბა აღნაგობის გულკეთილი, ხალისიანი ვაჟკაცი, ხაშურში დაბადებული და გაზრდილი მერაბ სალარიძე, ვინაც რამდენიმე მშვენიერი მულტიფილმი გადაიღო და რეჟისორობის გარდა, მულტიფილმებისათვის მხიარულ, გონება-მახვილურ, ბავშვთა სამყაროსთვის შესაფერ სცენარებს წერდა. თავი გამოიჩინა მხატვრულ პროზაშიც. ორი თუ სამი მოზრდილი, იუმორით ზომიერად გაჯერებული მოთხრობა გამოაქვეყნა. განსაკუთრებით მომეწონა „ცისკარში“ დაბეჭდილი, სადაც კურიოზულ პირობითობათა მოშველიებით ნაჩვენებია, თუ როგორ მოწყვეტეს აფხაზეთი საქართველოს მთლიან სხეულს – მიწის ნაწილი ჩამოგვაჭრეს და ზღვით ჩრდილოეთისაკენ გადაიწინა, გააუცხოვეს; გარეგნულ კომიზში მოუნელებელი ტრაგედია იკითხებოდა. მისი პროზა და სცენარები, ნაადრევად გარდაცვალების გამო, სამწუხაროდ, წიგნად არ გამოცემულა.

რეზოზე და ჩემზე მერაბ სალარიძე ცოტათი უმცროსი იყო და ახლო მეგობრობა გვქონდა. ცალ წარბზე ღრმა ნაჭდევი აჩნდა. ალბათ სიყმაწვილეში გაიჩეხა. ეს რამდენადმე პირქუშ შესახედაობას სძენდა, მაგრამ ხუმრობის მოყვარული, ხმაბლბერი, გადამდებად იცინოდა ხოლმე და ამ დროს ჩანდა მისი ალალი, უემშაკო ხასიათი.

ერთ დღესაც მერაბმა რეზოს უამბო თავის რკინიგზელ ხაშურელ ბაბუაზე, ვინაც მატარებლის გამცილებლად მუშაობდა მთელი ცხოვრება და ბოლოს, ხანში შესულს, პიესების წერა დაუწყია. ერთი პიესა მოსწონებია იქაური თეატრის რეჟისორს და სპექტაკლიც დაუდგამს. პრემიერის დღეს, რაღა თქმა უნდა, პიესის ავტორი მიუწვევიათ და თეატრისკენ გაშურებული, ოცნებებს აყოლილი, თავლია ორმოში ჩავარდნილია. გადარჩენით კი გადარჩა, მაგრამ დაბეგვილი ძლივს ამოუყვანიათ ბნელი, ვინრო თხრილიდან და თეატრის მაგივრად სახლში მიუბრუნებიათ. სპექტაკლი უმისოდ ჩატარებულა და მეტად აღარც უთამაშიათ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა გულდაწყვეტილი დაიარებოდა პენსიონერი დრამატურგი.

რეზოს ალღო არასოდეს ღალატობდა, უმალ მიხვდა, ამ კურიოზული შემთხვევიდან მკითხველისთვის ძალზე თავშესაქცევი და თანაც ჭკუის სასწავლი რამე გამოვიდოდა; ხელად მოუძებნა საჭირო ფონი და სიუჟეტის მოპოვებიდან ათი-თორმეტი დღის მერე, ყოველმხრივ გამართული, გაშანშალეული მოთხრობა ხელთ ჰქონდა. გმირს სახელი და გვარი დინჯი, შესაფერი-სი მორაგო – ფარნაოზ ედიბერიძე. შორს წასვლაც არ დასჭირვებია. მისი დაბადების ადგილად ხაშურიდან ხუთიოდე კილომეტრით დაშორებული ქართლის პატარა, ლამაზი სოფელი – იტრია შეარჩია (შეიძლება სინამდვილეშიც ასე იყო). იტრიიდან ყმაწვილ ფარნაოზს სამტრედიასავით, რკინიგზის ლიანდაგებით დაქსელილ ხაშურში ჩასვლა არ გაუძნელდებოდა და დეპოში მიყვანისთანავე სახალხო მატარებელზე კონდუქტორად თუ გამცილებლად დასვეს. დაუხანებლად, უშეღავათოდ არის ნათქვამი, რომ „...ცხოვრების უდიდესი ნაწილი ბორბლებზე გაატარებინეს“. ბევრი რამ გადახდა თავს.

საქართველოს სადგურებში, მეტწილად, სიცხე თენთავდა, შუბლს ნიავს უშვებდა, წყაროს ცივი წყლით იგრებოდა. დახურული წიფის გვირაბიდან ლოკომოტივს ზოგჯერ ჩრდილოეთისკენ გაჭრაც უწევდა.

მთის კალთებზე აქა-იქ შეფენილი, ღამეში აციმციმებული ქართული ოდების გვერდით, დროდადრო გაიღვავებდა ჩვენი დიდი და საშიში მეზობლის უკიდევანო

სივრცეები, რომლის ერთფეროვან პეიზაჟებში ტანატრელებული, ქათქათა არყის ხეები ჭარბობს. მოთხრობაში გმირის თვალშენავლები ეს კონტრასტი მძაფრად იგრძნობა:

„...მატარებელი რუსეთის უთავბოლო ველებში მიქროდა. ფანჯრიდან გადათოვლილი მინდვრები, კირით შეფეტილი ქობნახები და საკვამურიდან ამოსული, გამჭვირვალე ლურჯი ბოლი ჩანდა. თეთრი მინდვრები, გადაყინულ-გადასარკული ტბორები, ტელეგრაფის მავთულები, ზედ შემომჯდარი შეციებული ყვავებით, მატარებლისკენ მოდიოდნენ ტრიალ-ტრიალით“.

ეს ადგილი როცა წაუვიკითხე, გამახსენდა რეზოს უსაყვარლესი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, ვინაც ბლოკისადმი მიძღვნილ ლექსში სამუდამოდ დაანყვილა „უდაბურება კალუგის ველის და მწუხარებს ჩვენი, ქართული...“ უფრო კი ამოტივტივდა

# თეატრი პროზის ენაზე


ნიგინიდან „რეზო ჭიჭიშვილის გვერდით“

„პრემიერა“

ბია. ჩვენ დიდი რუსული კულტურისა და ლიტერატურის უპატივცემულობას, არსიყვარულს ვერავინ დაგვაბრალებს.

სიმართლეს თვალს თუ გავუსწორებთ, ისიც უნდა ვაღიაროთ – ყველაზე მეტს საქართველოს ისევე ქართველები უშავებენ. ამის უტყუარ დადასტურებად ბოლო რამდენიმე ათეული წელიც იკმარებს.

თუმცა „პრემიერის“ გმირი ასეთ რამეებზე ნაკლებად ფიქრობს. მატარებლიდან ჩამომხტარი და შინ დაბრუნებული, თავის ბოსტანს ბარავს, ცდილობს, ოჯახს რაღაც შემატოს, მაგრამ ვაგონების რახრახი და დაგადუგი ძილშია არ ასვენებს, ეჩვენება – რკინიგზა სახლის თავზე გადის და ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ზოგჯერ მატარებელი მის ზალაში მიჯლიგინებს. იქ მაცხოვრებელთა ფორიაქი და უკიდურესად გამახვილებული სმენა მოთხრობაში ზედმინეებით ზუსტად არის გადმოცემული:



„ფარნაოზის თანამოქალაქენი ხმაზე ცნობდნენ ორთქლმავალს, ელმავალს, საბარგოს, სახალხოს, ჯავშნოსანს, ჩქარ და ნელ მატარებელს, მატარებლის ხმაზე და რაძგარუძგზე იღვიძებდნენ ბავშვები და დეპოს მუშები. „ჩქარზე“ ასწორებდნენ საათებს, სამხრისა და ვახშმის კეთებას იწყებდნენ“.

ამის მერე იწყება ის მთავარი, სიცოცხლის ჩამამწარებელი, ამ კაცმა რკინიგზასა და მატარებელზე მალა რომ დააყენა – შეურჩა მწერლობის მოუსვენარი ჭია, რაც ხანდახმულობისას ბევრს ემართება და სასაცილო მდგომარეობაში აგდებს. მოთხრობის ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს ავადმყოფობის შესაძარ, ფრიად გავრცელებულ, ასაკისათვის შეუფერებელ და აკვიატებულ, გარშემო მყოფთათვის თავის მომაბეზრებელ, შემანაუხებელ მიდრეკილებას:

„ფარნაოზ ედიბერიძეს იმ ნახევრად გარკინიგზებულ მოქალაქეებზე მეტიც აკავშირებდა მატარებელთან და მაინც, თელიდა, რომ მოწოდებით იყო დარამატურგი და არა რკინიგზელი. აი, სათავე კიდევ ერთი სენისა, რომელიც უმიზეზოდ შეეყრებათ ხოლმე ადამიანებს“.

ადრევეა ნათქვამი, როგორ აგზავნიდა იგი რვეულებში გადანიერი, უკვე თავმოყრილ პიესებს სხვადასხვა თეატრებში, რომელთაც „თავმდაბლობით და გარკვეული „ტაქტიკური მოსაზრებით“ (ალბათ ადრესატებს შეღავათი რომ გაენიათ) მოაწერდა ხოლმე – „რკინიგზელი დრამატურგი“. მისი გადწყვეტილება და დაკვირვებები ერთგვარ ფილოსოფიურ ჭრილშია მოქცეული, რაც, პრიმიტიულობისა და ბანალურობის მიუხედავად, ამქვეყნიური ცხოვრების ამოებაზედაც დაგაფიქრებს: „პენსიაზე გასულმა ჩათვალა – ეს დრო მოვიდაო და მიხვდა, დრო მოსულიყო და გასულიყო კიდევ. მოეჩვენა, რომ მისი მატარებელი, რომელიც შეუმჩნევლად, კინაღამ უგზოუკვლოდ მიექანებოდა უცნობი სადგურისაკენ, სადაც იყო, გაჩერდებოდა. შუა გზა როდის გავიარეო, გაცდა. უკან მოიხედა და ნახა – გასავლელზე მეტი გავლილი ჰქონდა. ის კი არა, სულ ცოტადა

დარჩენოდა იქამდე, სადაც სამუდამოდ საუკუნოდ უკუნითი უკუნისამდე უნდა შეჩერებულიყო“.

ისიც ადრევე იყო განცხადებული, რომ ადგილობრივი თეატრის ახალგაზრდა რეჟისორმა (იგი ერთადერთი შტრიხითაა დახატული – წვიმიანი დღეა თუ მზიანი, შავ სათვალეს არ იშორებს და ავტორმა ამით მოუთავა ხელი), როგორც იქნა, ფარნაოზ ედიბერიძის ერთი პიესა დასადაგმელად შეარჩია.

სპექტაკლი დადგმულია, პრემიერა გამოცხადებული, „წითელწარწერიანი მწვანე აფიშა“ გამოკრულია – „უკანასკნელი გასეირნება“. სათაური ემშაკურად მოფიქრებულია და ავისმომასწავებელი სიმბოლური ელფერიც დაჰკრავს, იმის მიმანიშნებელი, რომ ეს „გასეირნება“ მთლად უხიფათოდ და სახარბილოდ არ დამთავრდება.

პიესის ავტორი გაცხოველებულ სამზადისშია, თეთრი შარვალი და ასევე თეთრი, მედლებით გაჩირჩხილი „საალღუმო კიტელი“ ჩაიცვია. ქალიშვილი და სიძეც ამთავრებენ საზეიმოდ მორთვას. თეატრისკენ ფეხით მიუყვებიან გზას. ავტორი მოსალოდნელი სიფათისთვის წინასწარ გვამზადებს, თორემ არ დანერდა აცუნდრუკებულ ფარნაოზზე: „სხეულით გრძნობდა და არა ჭკუით იმ უსიამოვნებას, რომელიც ამ პრემიერას აუცილებლად მოყვებოდა“.

სიძე-ქალიშვილი წინ მიიჩქაროდნენ, მოხუცი მათ უკან მიჩინდრიკობდა. თითქმის მისულეები იყვნენ თეატრთან, „როცა ფარნაოზი ტროტუარსა და სახლს შუა ამოჭრილ ვინრო თხრილში ჩავარდა. წინ მიმავლებმა რომ მოიხედეს, ეგონათ, ფარნაოზს მინამ უყო პირი, იმდენად უცვარი იყო მისი გაქრობა. იქვე თითქოსდა დასამშვიდებლად არის ნათქვამი: „ისეთი თხრილები იმ ქალაქში ბევრი არ იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, კაცის ჩასაგარდნად ერთიც საკმარისია“.

ამ სიტყვებში თანაგრძნობაზე მეტად ირონია გამოსჭვავის, მაგრამ მწერალი საბრალო „რკინიგზელ დრამატურგს“ კი არ დასცინის, ეს უფრო დაულაგებელი ქვეყნისადმი მიმართული საყვედურია, სადაც თითქმის არაფერია მოწესრიგებული და ადამიანი, თუ გაფაციცებული არ იქნება, შეიძლება სასიკვდილო საფრთხეს გადაეყაროს.

ერთი რამ კი ხდება ჭეშმარიტად საკვირველი – თხრილის ფსკერიდან ვეება ხოჭოსავით თუ გიგანტურ კუსავით გულამა დაგდებული ფარნაოზი ვარსკვლავებით მოოჭვავს, გამოაგნებლად ლამაზ ცას დაინახავს. თხრილზე გადამხობილ, თვალბეჭეტილ სიძეს (იგი მოთხრობაში რამდენიმე ადგილას გამასხარავებულია), რომელიც ჩასძახის, ცოცხალი ხარ თუ არაო, გვერდებდაბეჭეტილი ფარნაოზი კვენით პასუხობს, კი, ცოცხალი ვარო. ერთი, შემთხვევით გამოჩენილი მარჯვე მოქალაქის დახმარებით, მოხუცებული ორმოდან ძლივს ამოქარეს და სამივენი სახლისკენ გაბრუნდნენ, თეატრისთვის აღარ სცხელოდათ. ასე მთავრდება ახალი სპექტაკლის ერთადერთი წარმოდგენა, ანუ უიღბლო პრემიერა.

ფარნაოზი მეორე დღეს წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მაგრამ მისი სათეატრო მოღვაწეობა სამუდამოდ დასრულდა. თხრილში ჩავარდნის მერე დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი მთელს ქალაქში ერთადერთი ადამიანი იყო, ვინაც დღისით, მზისით ვარსკვლავებით გადაბრდღვიალებული ცა იხილა და ისე მოკვდა, ეს საიდუმლო არავისთან გაუმხელია.

დიდი ბერძენი მწერალი ნიკოს კაზანცაკისი თავის ერთ-ერთ უძლიერეს ნიგნში „ღვთის გლახა“ (იგი მსოფლიოს უდიდეს წმინდანს, ფრანჩესკო ასიზელს ეძღვნება) მათხვრის აბგაგადაკიდებულ ბერ ლეონეს ათქმევინებს: „ერთი ამოხვრაა ადამიანის სული და იგი ზეცაში ადის“.

ეს ყოველ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს.

► დასასრული. დასაწყისი. „ლს“ №3.4

„ლს“ - დიალოგებიდან

ენათმეცნიერი გიორგი გოგოლაშვილი ესაუბრება მთარგმნელ პაატა ჩხეიძეს

გ.გ.: ერთი კითხვაც მანუხებს: ჩემი თაობა ამ წიგნებზე გაიზარდა: „ბიძია თომას ქოხი“, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“, „პატარა უფლისწული“... ახლახან ითარგმნა და გამოიცა: „ბიძია ტომის ქოხი“, „პატარა ფინის თავგადასავალი“, „პატარა პრინცი“... გამართლებულად მიგაჩნია ამგვარი რამ? ეს საკითხი უცხოელ ავტორთა სახელების ქართულად გადმოტანასაც ეხება (ილია „გეტე“-ს წერდა, სხვა - „გიოტე“-ს, ჩვენ - „გოეთე“-ს...); ღირს კი უკვე მყარად დამკვიდრებულის შეცვლა თუნდაც მეცნიერულად გამართლებული ვარიანტით?

პ.ჩ.: ნიკო ყიასაშვილი წერდა შექსპირის პერსონაჟთა სახელების თარგმნაზე მსჯელობისას, სჯობს, დადგენილს და განმტკიცებულს არ შევხებით; მაგრამ მთარგმნელს მაინც აქვს უფლება, ახალ თარგმანში სათაურებისა თუ პერსონაჟთა სახელების თარგმნისას მართებული შესწორება შეიტანოს. მე პირადად უკვე თარგმნილსა და, მით უმეტეს, კარგად თარგმნილს არ შევხებოდი, იმდენი რამეა სათარგმნი...

...ჰო, ახლა გახშირდა ხელმეორედ თარგმნა; არ ვიცი, მგონი გამომცემლობების დაკვეთაა. მაგალითად, ჯეინ ოსტინის ერთი რომანი სამჯერ ითარგმნა. ამ დროს ექვსივე რომანი თარგმნილი ჯერაც არაა.

გ.გ.: მე-20 საუკუნის ბოლოს ერთი უცნაური ტალღა აგორდა: ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის „თარგმნა“ ახალ ქართულ ენაზე. თარგმნეს „მუშა-ნიკის წამება“, „აბოს წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“ (რამდენჯერმე!) და, თქვენ წარმოიდგინეთ, სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“ც კი... აბიტურიენტებისათვის... მაშინ, როდესაც ვამტკიცებთ, რომ ქართული ენის შემთხვევაში „ძველი“ და „ახალი“ პირობითი ტერმინებია; ერთი ენაა! (განსხვავებით ბერძნულისაგან). რა გამოდის: ქართულიდან ვთარგმნით ქართულად? რას იტყვიან?

პ.ჩ.: ქართულიდან ქართულად თარგმნა წყლის ნაყვია. ქართული ენა უნიკალურია. საშუალო განათლებისა და ინტელექტის მქონე ქართველ მკითხველს შეუძლია მებუთე საუკუნის ტექსტი წაიკითხოს და გაიგოს. არ ვიცი, სხვა რომელი ენაა ასეთი. და როცა ასეთი განძი გაქვს, უნდა გაუფრთხილდე და შეაგულიანო მკითხველი, კი არ უნდა დააფრთხო და დააკინო, როცა იმას უღეჭავ, თანაც უგემურად, რასაც თვითონაც ადვილად აითვისებს. ქართველ მკითხველს არ სჭირდება „მუშა-ნიკისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, თუმცა ადაპტირებული, შემოკლებული და პოპულარული გამოცემები საჭიროა. ოღონდ, ყველაფერში არ უნდა ჩაეყოთ ცხვირი და ყველაფერს არ უნდა შეეხებოდ. მასხოვს, ერთი მეტიჩარა გოგონა მაჩაბლის თარგმანების გასწორებას ითხოვდა, შევეპასუხე და ვურჩიე, თავიდან თარგმნე-მეთქი, ვერ გამიგო... არ გეგონოთ, თვითონ მოიფიქრან; ეს ტენდენცია მთელ მსოფლიოშია დანერგული და ცხარე კამათი მიმდინარეობს. კლასიკური მწერლობის ჩასწორებას მოითხოვენ სხვადასხვა მიზეზით...

გ.გ.: ჩვეულებრივ, აბიტურიენტებისათვის გამიზნულ ამ „თარგმანებს“ არ ანერია, ვინ „თარგმნა“ („ანონიმური თარგმანებია“). გასაგებია: იციან, რაც გააკეთეს და ერცხვინებათ გამოჩენა... ეს უკვე დანაშაული მგონია, ქართული ენისა

და ეროვნული ლიტერატურის მიმართ ჩადენილი...

პ.ჩ.: ჰო, მთარგმნელმა თავი არ უნდა დამალოს! არ უნდა რცხვენოდეს თავისი თარგმანისა; შეიძლება თავმდაბლობის გამო დიდიხალს ან მისტიფიკაციის მიზეზით, მაგრამ ამ შემთხვევაში შედეგები უნდა ჰქონდეს შექმნილი.

გ.გ.: მეტსაც ვიტყვი: სასულიერო აკადემიის ერთ-ერთი კათედრის ინიციატივით ითარგმნა აგიოგრაფიული ძეგლების ოთხივე ნიგანი... თავის დროზე ეს ქართული ლიტერატურის მტრობად შეეფასა (წურნალებში „ბურჯი ეროვნებისა“, „სამი საუნჯე“); მე ახლაც ასე ვფიქრობ... თქვენ რას იტყვიან? (მე შევადარე დედანი და

კითხვისას, იქ მყოფ ყველა ადამიანს არ ესმის ამბიონიდან ნაკითხული სახარების აზრი, ამ შემთხვევაში, ახალი თარგმანი გამოგვადგებოდა, ასე ვთქვათ, მასობრივი მკითხველისა და მსმენელისთვის. ქალბატონი მზექალა შანიძის ნათქვამს კი რა დაუშავებო? მე ძველ ფსალმუნებსაც ვკითხულობ და ახლაც და, უნდა ვაღიარო, ალტაცებას უფრო ძველი მანიჭებს.

გ.გ.: გასულ საუკუნეში არსებობდა მთარგმნელობითი კოლეგია. ამბობენ, კარგ საქმეს აკეთებდაო... კოორდინაცია ხდებოდა მთარგმნელობითი საქმიანობისათვის... ამგვარი კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობას თუ ხედავდლეს (რა ითარგმნოს, ვინ თარგმნოს, ვინ

# გეოგრაფიული ენის თარგმანის დასასრულად



ეგრეთ ნოდებული „თარგმანი“ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“; კუროზამდე დასული უცოდინრობა ენისა, უპატივცემულობა უნიკალური ძეგლისა... ერთ მაგალითს მოვიყვან: გიორგი მერჩულე წერს გრიგოლ ხანძთელზე - „სიჩრდილგან ხორცი არა შეხდა პირსა მისსა“. ჩახედალექსიკონს „მთარგმნელმა“, შეხდომა შესვლაო (მაგ.: რა ქაჯეთს შეხდაო - ქაჯეთში რომ შევიდაო - გრძელზე) და დაწერა: „ბავშვობიდანვე ხორცი არ შესულა მის პირში“... ახალ ქართულში იტყვიან: პირში არ ჩასვლია, არ გაუსინჯავს, არ უჭამიაო... ეს არაა ერთეული შემთხვევა... (არანაირი მთარგმნელობითი გამოცდილება, ნიჭი, ქართულის დაბალი ცოდნა...)... ეს ხომ ხელყოფა კლასიკური მწერლობისა, შეურაცხყოფა ენისა? და „თარგმნეს“ „მთარგმნელებმა“ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“... და მრავალი სხვა...

პ.ჩ.: არ მინდა კატეგორიული ვიყო, მაგრამ უნდა დავეთანხმოთ შეფასებაში; ხოლო „ხორცი არ შესულა მის პირში“ სუპერკუროზია, მეტი რომ არა ვთქვა!

გ.გ.: გასული საუკუნის ბოლოს „ბიბლიაც“ ითარგმნა ახალ ქართულად... მაგრამ „ბიბლიის“ შემთხვევა სხვაა: იგი ახლად ითარგმნა დედნიდან... თუმცა ამ თარგმანზეც მაინტერესებს თქვენი აზრი. ქალბატონი მზექალა შანიძე ბრძანებდა, „ფსალმუნთა“ ძველი თარგმანი გაცვილებით სჯობს ახალს ენობრივი თვალსაზრისითაც და პოეტურადაც (სხვათა შორის, სახარებაში „ამაო ჩვენო“ ძველი თარგმანისა დატოვებს, ვერ „გაბედეს“ ახალ ქართულზე გადმოტანა ამ ლოცვისა...)... არადა ჩვენი დროის საუკეთესო მთარგმნელები თარგმნიდნენ... გიფიქრიათ ამაზე? რას იტყვიან, ძველი ქართული ენის წყალობაა ეს (უფრო პოეტური ენა იყო?), თუ ძველი ქართველი მთარგმნელების ხელოვნებისა?

პ.ჩ.: „ბიბლიის“ ახალი თარგმანი დიდი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. ჩემი აზრით, მას სათანადოდ არ ვიყენებთ; ვთქვათ, წიგნისას, სახარების

გამოსცეს...)? თუ ეს ავტორის პიროვნულ მოხერხებულობაზე უნდა იყოს დამოკიდებული?

პ.ჩ.: მასხოვს. კარგი ადგილი იყო. მწერალთა და მთარგმნელთა მოზრდილმა ჯგუფმა მოიყარა თავი. მიედიოდი ხოლმე. ჩემი მეგობარი, ცხოვრებული თენგიზ ჰატარაია მუშაობდა. იქ ლიტერატურაზე საუბრობდნენ, მსჯელობდნენ, თავისუფალი სიტყვა ისმოდა. კოორდინაციაზე რა გითხრათ, არ ვიცი, რა ტიპის კოორდინაცია იყო, მაშინ არ დავეკვირვებოვარ, მიხაროდა, რომ გიგლა სარიშვილს ვიცნობდი, გივი შახნაზარს, ბაჩანა ბრეგვაძეს, გოგი ნიშნიანიძეს... ახალგაზრდა ვიყავი, თარგმნას ვცდილობდი; მაგრამ მგონი, საგამომცემლო გეგმა ჰქონდათ და საქმეც ესაა. დღეს ასეთი კოორდინაცია რედაქციებისა და გამომცემლობების საქმეა. იქ უნდა მოიყარონ თავი მწერლებმა და მთარგმნელებმა. მშვენიერი ადგილი იყო „ომეგას“ და „ჩვენი მწერლობის“ რედაქცია მელიქიშვილზე, ჩუბინაშვილზე. მწერალთა გაერთიანებები გამომცემლობებისა და რედაქციების გარშემო იქმნება და კოორდინაცია იქ ხდება, ოღონდ არა საზედამხედველო კოორდინაცია, რასაც საბჭოთა „მწერალთა კავშირი“ და, თუნდაც, „სარედაქციო კოლეგია“ უძღვებოდა.

გ.გ.: რისთვისაც თვალი მიმიდევნებია, მთარგმნელთა უმეტესობას განათლების საუნივერსიტეტო კურსი აქვთ გავლილი და, დამეთანხმებით ალბათ, მათი ქართულის ცოდნაში უნივერსიტეტს დიდი წვლილი აქვს შეტანილი... ამჟამად თსუში (მე მგონი სხვაგანაც ასეა) დასავლეთ ევროპის ენების, აღმოსავლეთმცოდნეობის, ახალი ბერძნულისა და კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობებზე ქართული აღარ ისწავლება... როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს? როგორ აისახება ეს ფაქტი მთარგმნელობითი საქმიანობის მომავალზე? როგორ ნაადგება ეს საქმე ქართულ ენას?

პ.ჩ.: ქართულის სწავლაში ქართული ენის სწავლას გულისხმობთ. ჰო, რატომ-

ლაც მიგვაჩნია, რომ ქართული ენა ვიწრო ილიას უნივერსიტეტში, ანგლოსტიკაზე, თარგმანი ისწავლება... უნივერსიტეტში ქართულზე, ქართულიდან ინგლისურზე; ინგლისურს ვასწავლით, ქართულს - არა. ბოლოს გამოდის, რომ ინგლისური იციან და ქართული - არა. ქართული ენა ყველგან უნდა ისწავლებოდეს! ქართული ენა არ ვიცით!

გ.გ.: ინფორმაციისათვის: ქართულის სწავლება იმ სპეციალობებზე 2005-2006 წლებიდან შეწყდა. 10-15 წელია, ვიბრძვით აღსადგენად, ყველა გვეთანხმება, საჭიროაო და ყველაფერი ისევ ისე რჩება... „ვოი, დედაენავ!“... თუმცა რა მიკვირს, იაკობის „დედაენის“ სკოლაში დაბრუნებას დიდი ომი დასჭირდა, იცით თქვენ... იქნებ ჩვენი საუბარიც შეენიოს ამ საქმეს...

პ.ჩ.: ინებოს ღმერთმა!

გ.გ.: რა აზრისა ხარ მანქანურ თარგმანზე; შესაძლებლად მიგაჩნია ოდესმე მხატვრული ნაწარმოების მანქანური თარგმნა?

პ.ჩ.: დღეს მხატვრული ნაწარმოებების ნაწილი მანქანურად ითარგმნება. არსებობს კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც თარგმნიან, ვთქვათ, ინგლისურიდან ქართულად (google translate); ჩასვამ პროგრამაში ინგლისურ ტექსტს და გითარგმნის, ილიას არ იყოს, „გარნიანული ქართულითა“, „მერე უნდა მიადგე და დაარედაქტირო. ამიტომ, რომ თარგმანთა ერთ ნაწილს ვერ წაიკითხავ, ისეთი ცუდი ქართულია; ამიტომ, რომ მთარგმნელები ძალიან სწრაფად თარგმნიან. მთარგმნელობითი პროგრამები დაიხვეწება, მანქანური თარგმანები უფრო გახშირდება, ეს ტექნოლოგიების განვითარებას, ცივილიზაციას მოაქვს, წინ ვერ აღუდგები, მაგრამ ნუგუშად ის გვრჩება, რომ მრავალი მანქანა ერთ კარგ მთარგმნელს ვერ გაუტოლდება, მანქანა შედეგს ვერ შექმნის.

გ.გ.: ვთქვათ ორიოდ სიტყვა მკითხველზეც: რა აზრის ხარ დღევანდელ მკითხველზე? ნაირა გელაშვილი წერს: კარგი მწერალი მეტია, ვიდრე კარგი მკითხველი... და ეს თუ ასეა, როგორ განსაზღვრავს ეს ლიტერატურის ბედს? და კიდევ: რას ფიქრობენ ამ პრობლემის თაობაზე უცხოეთში??

პ.ჩ.: როგორც ბატონი, ისეთი მსახური! როგორც მწერალი, ისეთი მკითხველი! ჩემი მეგობარი, ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე, ვერჯილ ნემოიანუ, მიიჩნევს, რომ დიდი ნიგნებია, დიდი ლიტერატურა, უკვე კარგა ხანია აღარ იწერება და ამას მხოლოდ იგი არ ამბობს; პოსტმოდერნმა გაადემოკრატიულა ლიტერატურა და ამას დონის დანევა მოჰყვა; შეადარეთ მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი, დასავლურ მწერლობაში, დღევანდელს და დარწმუნდებით; დღეს ხომ ბაზარი ბატონობს მწერლობაზეც და ლიტერატურათმცოდნეობაზეც, რაც მასობრივ მკითხველს უნდა, ის იწერება და მკითხველი როგორც გადაწყვეტს, ისეთია ნიგნი - ასე სურს და ასე ხედავს, ასე კითხულობს...

გ.გ.: როგორც ჩანს, „კარგი მკითხველის“ თემა სერიოზული თემაა, ვრცელიც... მაგრამ ჩვენ ამჟამად ბოროტად ნუ ვისარგებლებთ ამ „კარგი მკითხველის“ გულმონყალებით, დავასვენოთ...

პ.ჩ.: და მაღლობა ვუთხრათ ყურადღებისთვის.

გ.გ.: ვფიქრობ, არ მიწყენენ, ამ შეგონებით თუ დავემშვიდობებით: ჩვენ, ყველანი „მოვალენი ვართ, ხმალი ვიშმევლოთ მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავად!“ (კონსტანტინე გამსახურდია)...



ია კარბარათელი

# სისუფარი პიონები

სხვისი თვალთ დასახული შენი ცხოვრება სულ სხვანაირი ჩანს...

ჩემი საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ მრავალსართულიანი კორპუსში, მესხუთე სართულზე, როგორც გამოვთვალე, ორმოცდამეშვიდე ნომერ ბინაში, მოხუცი ქალი ცხოვრობს... ის ყოველ დღით შვიდ საათზე იღვიძებს, თავს ინესრიგებს, შემდეგ გახეხურასთან ყავას იღვლებს და ფანჯარასთან მდგარ ხის მრგვალ მაგიდასთან ჯდება.

მარტოა და მის სახლშიც მარტობის სევდიანი სურნელი დგას - ეს შორიდანაც იგრძნობა... მე და ეს ქალი, უკვე ერთი წელია, დღით ერთად ვეგებებით ახალი დღის დასაწყისს (სამზარეულოს ფარდები სულ განეული აქვს - აქედან ვიცი ეს). ბოლო ერთი წელია ყოველ დღით ვეგებები ალიონს (ალბათ, დევრესის ბრალია). დედაჩემი ძალიან ღელავს, ასე უმეგობროდ და უხალისოდ რომ ხარ, არ არის ნორმალურიო, მთხვავს, რომ ფიქსილოვს ვესტუმრო, ვე კი მომწონს ჩემი ასეთი ყოფა... სახლში ვე და ერთადერთი თი საქმიანობა, რაც, ბოლო ერთი წელია, ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებას აფერადებს, ფანჯრიდან სხვისი ცხოვრების ყურებაა... ჰო, ზუსტად ისე, როგორც უყურებ ფილმს ან წარმოდგენას, შეგიძლია უყურო სხვის ცხოვრებასაც, ოღონდ, ფილმებისგან განსხვავებით, სხვისი ცხოვრება ყოველთვის უფრო ნამდვილი და ემოციურია...

მყუდრო და ლამაზი სამზარეულო აქვს, ხის ავეჯით განწყობილი. მაგიდაზე ლარნაკით ყოველთვის უდევს ცისფერი პიონები. მე მოწყენილობისგან შევყურებ ხოლმე მის ფანჯარას, ის კი ვერასდროს მამჩნევს. თავის დარდასა და საფიქრალში ჩაძირულა, ჰო,

ზუსტად ისე, შუაგულ ოკეანეში რომ მარტო დარჩები და რამდენიმე მეტრის იქით ველაფერს ამჩნევ, მხოლოდ იმას გრძობ, რომ უსასრულობაში წერტილზე პატარა ხარ და ნელ-ნელა ეს უსასრულობა გიპყრობს და გშთანთქავს.

ხოდა, დღის რვის ნახევარზე მე ჩემი სამზარეულოს ფანჯრიდან, ყავის ფინჯნით ხელში, ვაყურებ მოპირდაპირე კორპუსში ფანჯარასთან, ხის პატარა მაგიდასთან მდგარ მოხუც ქალს, რომელსაც გრეტა ჰქვია (მისი სახელი ყვავილების ბუტიკში გავიგე).

ნეტავ, ოდესმე თუ შეუმჩნევია ჩემი ცნობისმოყვარე მზერა?

მაგიდაზე ცისფერი პიონების გვერდით ქმრის სურათი უდევს, ლამაზ ჩარჩოში მოთავსებული, რომელსაც ყოველ დღი-საღამოს სათუთად აშორებს მტვერი... ხან მზის სხივებით გაფერადებულ ცას გაჰყურებს, ხან ქმრის ფოტოს შესცქერის, რომელზეც განცდილი სიხარულისა და ბედნიერების ემოციები გაუყინავს ფოტოგრაფს... ნეტავ, რას ფიქრობს ამ დროს გრეტა ან ამდენი წელი როგორ შეინარჩუნა ამ კაცის სიყვარული გულში?.. ნუთუ არასოდეს უჩხუბიათ, უკამათიათ ან უღალატიათ ერთმანეთისთვის? მე იმ ადამიანთა კატეგორიას ვეკუთვნი, რომელნიც ფიქრობენ, რომ სამარადისო წმინდა სიყვარული მხოლოდ ნიგნებსა და კინოფილმებშია არსებობს, მაგრამ, ამ ქალს რომ ვუმზერ, თითქოს მკვება, რომ არსებობს კავშირი, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება, რომელსაც აქვს ძალა, გაუძლოს ყველა დაბრკოლებას, ყველა წინააღმდეგობას და შეინარჩუნოს სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც კი...

უყურებ ამ მოხუც ქალს და ვფიქრობ: ნეტავ, მე როგორი ვიქნები მის ასაკში. ვიცი, რომ ოთხმოცდაორი წლისაა, თუმცა იმდენად კარგად გამოიყურება, რომ ასაკი დიდად არც ეტყობა. ნაოჭებით დაფარულ სახეზე ძველი სილამაზის კვალი ისე ამჩნევია...

შვილები ხშირად არ სტუმრობენ - თვეში ერთხელ ან ორჯერ, თითქოს ვადა გაუვიდაო მშობელს. ძირითადად სულ მარტოა და თვალები დარდიანი აქვს... როგორ მეშინია სიბერისა, მეშინია, რომ მეც სევედა და სიმარტოვე ჩამისახლება გამოხედვაში, მეც მხოლოდ დღესასწაულებზე გამიხსენებენ ჩემი შვილები და ისიც, ვალის მოხდის მიზნით. ეს, ალბათ, ყველაზე დიდი ტრაგედიაა ადამიანისთვის. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ძალიან მეოცნებები ვართ, არასოდეს ვამჩნევთ და ვაფასებთ მშობლის ამბავს...

ყავის დალევის შემდეგ გრეტა წიგნს კითხულობს ყოველდღე, ოცდაათი წუთის

განმავლობაში. თითქოს ერთგული მეგობრისა და მესაიდუმლეს ადგილს წიგნი იკავებს მის ცხოვრებაში. კითხვას რომ დაასრულებს, წიგნს ისევ თაროზე აბრუნებს, ყავის ფინჯანს რეცხავს. ცოტა ხანს ფანჯრიდან იცქირება, ისეთი სევდიანი და მარტოსულია ამ დროს... შემდეგ გარეთ გასასვლელად ემზადება. მეც გავდივარ სახლიდან და ერთმანეთს, ქუჩის კუთხეში რომ ყვავილების ბუტიკია, იქ ვხვდებით, ყოველ სამშაბათს, დღის ათის ნახევარზე...

ბუტიკი ცხრაზე იღება, იქაურობა მოჭედულია ფერადი და სურნელოვანი ყვავილებით, თუმცა დღეში მხოლოდ ორჯერ თუ შეაღებენ ხოლმე მომხმარებლები კარს... ყვავილები აღარაფერს ახსოვს, ადამიანთა ცხოვრება მხოლოდ სამსახურსა და საკვებსა იტევს, მხოლოდ ყოველდღიურ საზრუნავზე ფიქრობდა სახსე, დანარჩენი ყველაფერი უცხო და შორეული გახდა უმეტესი ჩვენგანისთვის. ალბათ, ამიტომაც ვანყდებით ქუჩაში ამდენ უსიცოცხლო და დაღლილ თვალებს, ამდენ სევდიან და ცარიელ გამოხედვას... ჩვენ თითქოს დაგვავინწყდა, რომ ბედნიერება გულის ამინდთანაა დაკავშირებული, რომ მხოლოდ მუხლჩაუხრელი შრომით, ამბიციებითა და ჭაბით ბედნიერება არ მიიღწევა, რადგან ბედნიერება სულიერი რამ არის, ჩვენ კი სულიერებისთვის აღარც დრო გვაქვს და აღარც განწყობილება. იშვიათად თუ წავანყდებით ხოლმე ვინმეს ბედნიერი მზერით, ვინმეს, ვინც ნაკლებად ხარბდება ფუფუნებას, და ასეთ ადამიანს გაკვირვებულნი ვუმზერთ, ვგრძობთ, რომ იგი აღმატებულია, მისგან შეგიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ და ეს გვაღიზიანებს, რადგან ჩვენ არ გვიყვარს ისინი, ვინც ჩვენზე მეტს მიაღწია, ვისი ბედნიერებაც ნივთებში კი არა, რაღაც უხილავშია, იმაში, რასაც მთელი მსოფლიოს ოქროთიც ვერ შეიძენ...

გრეტას ბუტიკისკენ მიმავალ ვიწრო ბილიკზე ვხვდები. ზრდილობის ნიშნად ვესალმები, ისიც თავაზიანად მპასუხობს, გაგიმარჯოსო, და ბუტიკის შუშის კარს ვუღებ, რომ შევიდეს. მან არ იცის, რომ, უკვე ერთი წელია, უცნაური მეგობრობა გვაკავშირებს, უხმო და უსიტყვო, მაგრამ ძლიერი... მეგობრობა ხომ, უპირველესად, სულიერი კავშირი და სიახლოვეა...

- ჩემი პიონები დაჭკნა, - მშვიდი ხმით ეუბნება ყვავილების გამყიდველს. - ლამაზი თაიგული შემირჩიო...

- ყოველთვის მხოლოდ პიონებს რატომ ყიდულობ? - ეკითხება ყვავილების გამყიდველი. ისიც ასაკიანი ქალბატონია, ოღონდ უფრო ბედნიერი თვალები აქვს...



მხატვარი იაზო ნიკოლაძე

- ჩემს ქმარს, პირველად რომ დამპატიჟა შეხვედრას, ხელში ცისფერი პიონების თაიგული ეკავა... ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. ის საუკეთესო ადამიანი იყო, ვინც კი ოდესმე გამიცნია. მაშინ ვუთხარი, ეს ყვავილი ყველაზე მეტად მიყვარს-მეთქი... იმ დღიდან მიყოლებული, გარდაცვალებამდე მუდამ ცისფერ პიონებს ყიდულობდა ჩემთვის - ყოველ კვირა მოჰქონდა ხოლმე და მახარებდა.

- ასე გიყვარდათ? - მიყვარდა? ახლაც მიყვარს... ჩვენ ხომ ისევ შევხვდებით ერთმანეთს... - გრეტამ ბავშვური გულწრფელობით სახსე ღიმილით შემოგვხედა, მე გაყინული ვიდექი და თვალები ცრემლით მქონდა სახსე... მერე ნაქსოვი საფულედან თანხა ამოიღო, გამყიდველს გაუწოდა, ალერსიანი მზერა მოავლო ყვავილებს, თაიგული გამოართვა და თბილად დაგვემშვიდობა.

რამდენიმე წუთს გაშეშებული ვიდექი. იმდენი ფიქრი და აზრი ირეოდა გონებაში, როგორც იქნა, მივხვდი, რატომ უყვარდა ქმარი ასე ძლიერ (ამდენი წლის განმავლობაში), შეუძლებელია არ გიყვარდეს კაცი, რომელიც უმდან ცდილობს, შენს სახეზე ბედნიერების ღიმილის მიზეზი იყოს; კაცი, რომელსაც ყოველთვის ახსოვს, რა ჰქვია შენს საყვარელ ყვავილს, საყვარელ ფილმსა და სიმღერას... უნებურად წამომცდა: „ალბათ, რამდენ ახალგაზრდა ქალს შემურდებოდა ამ მოცუბი ქალის“...

## ლევან ლორია

- ტარა ტარა, ტარა ტარა... - ამღერდა მობილური „ჭრელო პეპელას“ ჰანგზე. ნეტავ, შინ არ ვიყო და სახლში მქონდეს დარჩენილი! მელვიძება, მაგრამ თვალს ვერ ვახელებ. ასე მინდა მოვძებნო სადღაც სკამზე მიგდებული ეს საშინელება, რომელიც, გინდა არ გინდა, საჭიროა და საკმაოდ ძვირიც ღირს. რა კარგი იყო ჩვეულებრივი ტელეფონების ხანა. დარეკავდა - არ აიღებდი. ესე იგი, არა ხარ შინ. მობილურზე რომ რეკავენ, ხომ ვერ იტყვი, სახლში არ ვიყავიო. კი ბატონო, ერთხელ დაგრჩა, ორჯერ დაგრჩა, მაგრამ მესამედაც?! რად გინდა მაშინ მობილური. სახელად რა გქვია? ვირი. - ტარა ტარა, ტარა ტარა... კიდევ რეკავს. თვალს ვახელებ და ვიღებ ამ საშინელ ნივთს, რომელმაც დამიფრთხო კი არაა, ცხრა მთას იქით გადამიკარგა ძილი. უცნობი ნომერია. - დაბ! - ბიჭო, შენ რამდენჯერ უნდა გითხრა, იმ გოგოს თავი დაანებე-მეთქი! - რა ბრაზიანი ვილაცაა. ამას, მე მგონი, მაქრატელი შეერქო უადგილო ადგილას. - რომელი ხარ? - ვეკითხები. - რომელი ხარ კი არა ბიჭო, თავს მოგადრობ. შენ ვილაც ახვარი ხომ არ გგონივარ? - ვინ გგონიხართ?! - ვითომ არ მესმის. - ახვარი. - არ დაეანებები! - რატომ?

## ბაგბო, სვალ უნდა მოვიგოთ, სო იში...

- იმიტომ, რომ ახლა მიძინავს და, საერთოდ, აზრზე არა ვარ, ვინ ხარ ან რომელ გოგოს დაევანებო თავი! გამითიშეს. რა ეწყინა ახლა, რა ვუთხარი ისეთი? არც არაფერი. ეს რა უბედურებაა! რატომ გამაღვიძა ვილაცა სიყვარულით შემოიღმა გიუმამ! იმის გამო, რომ მისი შეყვარებული ვილაცას ხვდება? მე რა დავაშავე?! მე რე კიდევ რაღა მაინცდამაინც ჩემთან მოხვდა! ცოტა ნომურია სხვა? დაურეკა სხვისთვის და ეჩხუბა თუნდაც დილაზედე თუ საღამომდე. იქნებ, ვხვდები კიდევ. ამ კვირაში ვის შევხვდი? ახლა ამის ვახსენება არ გინდა? დავითარსე რა. არადა, რა კარგი სიზმარი იყო. ახლა გამახსენდა, ვითომ მივფრინავდი. მიწაზე მოჩანდა კვადრატებად, რომბებად და მართკუთხედებად ჩამსკრივებული ათასფერი მინდვრები. ცა კი იყო ღურჯი, ძალიან ღურჯი. სადღაც მითხრეს, ფერად სიზმრებს თუ ხედავ, ესე იგი, გიყი ხარო. მე არავის არ ვუბნები, რომ ფერად სიზმრებს ვხედავ. ისედაც ცუდი თვალთ მიყურებს დირექტორი... და უცებ მახსენდება ლუდი. ახლა ავდგები, მაცივრის კარს ვაგალებ და ოქროსფერი სითხე, ცივი და გემრიელი, რომელსაც ჰქვია ლუდი, თავიდან ბოლომდე ამაჯსებს საამო გრძობით. პირველ ნაწილს ჩემი ოცნებისას იოლად ვახორციელებ. ვდგები, მაცივრის კარებს ვაღებ და ... ესაა ცხოვრება? ეს რა უბედურებაა?!

ერთი ბოთლი მაინც დაეტოვებ! არადა, ათი ბოთლი შევანყე გუშინ „მილანი“-„რომას“ თამაშის აღსანიშნავად. ტირილი მინდა, მაგრამ ლუდი უფრო მინდა. დედაა! დედას რა უნდა აქ, ტუტუც, ორი კვარტლის იქით ცხოვრობს და გეხვეწება, შეილო, რა გინდა ნაქირავებში, მოდი აქ, სანამ ცოლი მოგიყვანია, მანამდე მაინც გიყუროო. დედად ვაგზარდა, ვირო, ახლა ლუდის გაულისთვის ეძახი? დაურეკე მაინც! სამზარეულოში შევდივარ, ონკანს ვსხნი. წყალი მაინც დავლიო. წყალიც არ მოდის... - ტარა ტარა, ტარა ტარა... - ისევ მობილური. ახლა თუ ისევ მითხრა, იმ გოგოს თავი დაანებეო, უნდა ვავინო. არა, ეს უკვე ნაცნობი ნომერია. რეზი, ჩემი ძმაცაქი. ესაა ლუდის უსასტიკესი მტერი. - ხო. - სად ხარ? - სახლში. - გამოდი, ხაში. - არა, ცუდად ვარ. რა არის, ერთი ბოთლი მაინც დაგეტოვება. ამოდი, ლუდი ამოიტანე! - ლუდი არა, ტოლმა. - „პიეაზე“ ნაეა? ისევ გამითიშეს. ეს რა უბედურებაა, ყველა მე მითიშავს. ავდგები და მე თვითონ ვავითიშავ. გავდივარ მომსახურების ზონიდან. აბა, ახლაც დამირეკონ. ახლა ძილი ყველაფერს

მირჩევნია. თან, რა იცი, სიზმარში რას ვნახავ, ტვინის რომელი ნაწილი გამიაქტიურდება. სიზმარს თუ არ ნახულობ, ესე იგი, ნახევარი ცხოვრება გიცხოვრია. აი, მაგალითიც: ვის ეცოდინებოდა მენდელეევი, ერთხელ რომ არ დასძინებოდა და სიზმარში ცხრილი არ ენახა. მობილურს ვითიშავ და ისევ საბნის ქვეშ ვძვრები. დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რას ვნახავ სიზმარში, მენდელეევის ცხრილს თუ გამრავლების ტაბულას, მთავარია, დავიძინო. თვალის დახუჭვასაც ვერ ვასწრებ, უცებ ჩემი კარის „ჩიტი“ აუღურტულდა. გამიხდა ესეც კარის პოეტო! უცებ ყველა ფრინველი შემძულდა. მათ შორის ბუბულუციც. არა ვარ სახლში. მორჩა. ჩიტი კი გალობს და გალობს. ერთი თოფი მომცა, რა, ახლა დატენილი. რა ფიქრები მანუხებს? ნეტა, მართლა ვის ვაგახსენდი? ახლა უკვე მეც მაინტერესებს, ვინ არის. შეიძლება ღმერთმა ვილაცის ხელით ლუდი გამომიგზავნა. სასწაულებიც ხომ ხდება, ვდგები და სათვალთვალსთან მივდივარ. ვიხედები. არაფერი ჩანს. სხვა თვალთ დამიხუჭავს. ახლა მეორე თვალთ ვიხედები და აი სასწაული - ლამაზი გოგო. საერთოდ თუ შეიძლება სათვალთვალთან ადამიანი ლამაზი გამოჩნდეს. რეკორდული სისწრაფით ვიმოსები და კარს ვაღებ. გოგო არ ჩანს. გაქრა. სამაგიეროდ, პირდაპირ კარების წინ

ღრუბლის ქელასავით თეთრი ლეკვი ჩაცუცქულა და მიყურებს. თან კულდა აქციანებს. გოგო სადღა, ან ამ ლეკვს რაღა უნდა? გარეთ გამოვდივარ. - გამარჯობა, - მუუბნება ვილაცა. აქეთ-იქით ვიხედები. არავინაა. ხომ არ მომიყურა? - შენ რა, გამარჯობა არ იცი? - იგივე ხმა. მხოლოდ ახლად მივხვდი, რომ ეს იყო ლეკვი. მოლაპარაკე ლეკვი. აი ზღაპარი, მაგრამ ზღაპრებში, ვიცი, ბაყაყი გადაიქცევა მზეთუნახავად, აქ კი რაღაც აბსურდი - ქალი გადაიქცა ლეკვად. ვერაფერი გავიგე. - გაგიმარჯოსო, - ვუბნები. - შენ რა, ლაპარაკობ? - არა, ვცეკვავ! - მიპასუხა. მაღადავებს კიდევ. არა, მგონი მოჩვენებები დამეწყო. არა, ნამდვილად ბევრს ვსვამ. - ალბათ, პიანინოზეც უკრავ „ძალილების ვალს“. შემთხვევით, შენი დაწერილი ხომ არ არის? - ვეკითხები. - არა. - კიდევ კარგი, - ვთქვი და ვფიქრობ, რომ ნამდვილად ცუდად ვარ. ალბათ, ეს არის თეთრი ცხელება თუ რაღაც ჯანდაბა რომ ჰქვია. ნეტა ახლა დარეკავდეს ვინმე და მეტყუადეს რამეს. თუნდაც ის გიყი დარეკავდეს, შეყვარებული რომ ღალატობს. თუმცა მახსენდება, რომ მობილური გამორთული მაქვს. - ნუ გეშინია, არ შეგქამ. ისე, გამოგიტყდები და ძალიან მშია. სახლში არ შემოპატივებ? - ეს რა კულტურული ლეკვია?! ესე იგი, თუ არ შევიპატივებ,



ისე არც შემოვა, მაგრამ მინდა ახლა მე მოლაპარაკე ლეკვი?

- სხვა შენ ადგილზე ბიზნესს დაატრიალებდა, შენ კი იმას ფიქრობ, სახლში შემოვუშვა თუ არაო. აბა, შენა ხარ, რა?!

რა ბიზნესი უნდა დავატრიალო? გიყია ეს ლეკვი! რომელი ბიზნესმენი მე ვარ? ისე, მხედველობაში რა ჰქონდა?! აბა, რა ვიცი. დღეს ძაღლისას რას გაიგებს კაცი!

- შინ შევიდეთ და იქ გეტყვი, - მეუბნება. მგონი, ეს ლეკვი ჩემს ფიქრებსაც ხვდება. მოიცა, წელან ხომ არ გავაპანდურო-მეთქი, გავიფიქრე. ნეტავ, მიხვდა?

- არა, ეს არ გიფიქრია. წელან იფიქრე, მინდა, ახლა ეს მოლაპარაკე ლეკვიო და კიდევ ის იფიქრე ჩემზე, გიყი ხომ არ არისო. მერე კიდევ შენს თავზე იფიქრე, თეთრი ცხელია მაქვსო.

ვიგრძენი, როგორ დამიძვდა თმა ყალვზე. ახლა, მთლად ჭიხინი არ დაუნყია, მაგრამ არც არაფერი აკლდა. პატარა ამბავია? მოლაპარაკე ძაღლი. ძაღლიც არა, ლეკვი. თან აზრის ნაკითხვაც რომ შეუძლია. ეს რომ გაიზრდება, რას იზამს!

- კაცო, რა დროს გავრდა, შემოვიდე თუ არა? თორემ იხვეწება ხალხი! ვინ ხალხი იხვეწება?! სადაა, საერთოდ, ხალხი? რალა ყველა ახლა გაქრა?

- მობრძანდით! - ვეუბნები. დინჯად შემოვიდა. რა ვაჭამო ახლა ამას? ალბათ, ძვალი ეყვარება.

- საიდან მოიტანე, რომ ძვალი მიყვარს? ძვალი შენ თვითონ ჭამე. მე კი დიდი სიამოვნებით დაეღვედი ერთ ლამაზ ქაქუნს ფუნთუშით, - მომცა შეკვეთა.

რძე საიდან მოვუტანო ახლა? ვითომ ძროხების ფერმა მქონდეს!

- ჰო, კარგი, ნუ წუნუნებ. ჩადი და მაღაზიაში იყიდე, - დამარგა. თან მოათვალე რა ჩემი არეული ბინა. ეტყობა, დიდად არ ეპიტიხავა. ვითომ თვითონ აპარტამენტებში ცხოვრობდეს.

- ისე მართალი ხარ, ჩემს პატრონს შენთან შედარებით აპარტამენტები აქვს. მდიდარია, მაგრამ ბედნიერი არ არის.

- მოიცა, კარგზე ხარს რომ აძლევა, ის შენი პატრონია?

- ხო, დანახე, არა? იმიტომ გამოვარდი ასე გიყვივით? მოგონა?

აუხსენი ახლა ამას, მომეწონა თუ არა ქალი, რომელიც სათვალთვალოდან დაინახე.

- არ გირჩევ მის შეყვარებას. არა, ცუდი გოგო არ არის, მაგრამ სიგარეტს ეწევა. ლამისა მეც დამანყებინოს!

- მერე, შენც კარგ პატრონს ვერ მონახავ?

- ვითომ ჩემი ნება იყოს! არჩევანზე რომ იყოს საქმე, ახლა ვიწებოდი დედაჩემთან ცხვარში. დაეირბენდი ათასფერ ფერდობებს, ბატყებს ავედევნებოდი, პეპლებთან ვითამაშებდი. შენ ვითამაშა პეპლებთან?

- კი, ბავშვობაში.

- რა მაგარია, არა? - თვალზე ცრემლი მოადგა უცებ. ალბათ, დედა მოენატრა.

- კარგი, ნავალ, რძეს ამოგიტან, - ვთქვი, ვბიძებში ფული მოვიწვრიკე და გარეთ გამოვედი. ვინმეს ჩემთვის რომ ეთქვა, მოლაპარაკე ლეკვი ვნახე და თან ველაპარაკეო, ნამდვილად გიჟად მივიჩნევი. გამოდის, მე რომ ვინმეს ვუთხრა, მოლაპარაკე ლეკვი მყავს სტუმრად-მეთქი, აქეთ მე ჩამთვლიან გიჟად, მით უმეტეს, იმასაც თუ გავამხელ, რომ ფერად სიზმრებს ვხედავ. რალა მაინცდამაინც მე მენვია? ან მისი პატრონი სადღა წავიდა? ალბათ, ახლა სადღაც მეგობრებთან ერთობა, მე კი მის ლეკვს რძე უნდა მიუტანო და ველოლიავო.

რძეები მივიჩნებოდი, ერთი პაკეტი არის ფული შევგაროვე, თან ფუნთუშაც ავიღე. ლუდის ფული აღარ

დამრჩა. მაღაზიაში გაკვირვებულნი მიყურებენ. რაც აქ გადმოვედი, ლუდისა და არაყის მეტი არაფერი მიყიდა. ახლა კი უცებ - რძე. რა იცინა, როგორი სტუმარი მყავს.

ოთახში დაბრუნებულს სავარძელზე ნამონოლილი დამხვდა. თავი წინა თათებზე დაედო და ოთახში დაკიდებულ ჩემს შესრულებულ ერთადერთ ნახატს შესცქეროდა. დიდი, ტრიული მინდორი იყო ამ ნახატზე და შუაში ერთადერთი ხე. საინტერესო რა დაინახა, ვერ გეტყვით. ტრიული მინდორი მოენატრა, ალბათ.

- რძე და ფუნთუშაც მოვიდა, - თქვა, მე რომ დამინახა.



ამან რა იცის, ბოლო ხურდები ამოვიფხიკე ვიბიდან.

- ხო, კარგი, ნუ მამადლი, - მითხრა. სულ დამავიწყდა, ამას ხო ფიქრების ნაკითხვაც შეუძლია.

- ღმერთმა შეგარგოს, ვინ თქვა რომ გამადლი! - მოვუბოდიშე...

- შენც უნდა ჭამო! მარტო ჭამაში კაციც ცოდაო და ძაღლიც. მოიცა, ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი - მე ბამბო მქვია.

- ვიცი, აბა, წავიდა ქიფი!

რძე ლამაზად დაუხსნი და ნახევარი ფუნთუშაც ჩაუფუშენი. ისე გემრიელად დაიწყო ჭამა, მეც მომინდა. რძე ჭიქაში დავისხი და დარჩენილ ფუნთუშას შევექეცი. უკვე შევეჩვიე, თითქოს ყოველდღე მოლაპარაკე ლეკვები მყავდეს სტუმრად. მალე მოვრჩით.

- ახლა ჩემი სეირნობის დროა, პარკში უნდა წამიყვანო!

მგონი, ეს აღარ ხუმრობს. ახია ჩემზე. სულ დაცინვით ვუყურებდი ხალხს, რომლებიც ძაღლებს ასეირნებდნენ. რად უნდა ძაღლს სეირნობა! გაუშვი და ისეირნებს, აბა, რას იზამს. თუ ყველას უნდა დაანახო, რა მაგარი ჯიშის ძაღლი გყავს! ჯერ ეს ერთი, და მეორეც, შენ რომ მოგწონს, ჰკითხე, ერთი, ძაღლს, მონონს შენთან ერთად ბოდილი ყელში ნაჭერილი სახელურით თუ საყელურით? პატიმრის სეირნობაა, რა, თუ ამას სეირნობა ჰქვია. ახლა კიდევ ჩემი თავი წარმოვიდგინე გუნებაში, როგორ მივსეირნობ ბამბოსთან ერთად და მხედება რომელიმე ძმაკაცი. მაშინ ნახე შენ ლადავი. ისე, პრინციპში, ცუდი ლეკვი არ ჩანს. არადა, უკვე მეც მაინტერესებს, სხვა ვაგიონებს თუ არა, რას ლაპარაკობს ბამბო. ან რა სახელია ბამბო.

- რა სახელია და, რომ დავიბადე, ჩემმა ძველმა პატრონმა, რა ბამბასავითააო და ბამბო დამარქვა, გაიგე? აბა, რა სახელია დათო?

- რა სახელია და ბაბუაჩემს ერქვა, - ვთქვი მე.

- და რატო ერქვა?

- აბა მე რა ვიცი. ბაბუამისს ერქვა.

- ჰოდა, ეგაა საქმე! - თქვა, მაგრამ, რაში იყო საქმე, ვერ მივხვდი.

კარგი, ჯანდაბას, ნავალ პარკში - იმას მაინც ვაგიგებ, სხვასაც ესმის თუ არა, ბამბო რას ამბობს. ახლა ეს

მაინტერესებს ყველაზე უფრო. მაგრამ პარკამდე საკმაო მანძილია. მოდი ერთი, რეზისთან დავრეკავ. მანქანით გამოვა - პარკშიც გავიყვანს და თან ბამბოსაც გავაცნობ.

- არ გამოვა. მაგ შენმა ძმაკაცმა გუშინდელს ამ დილას არაყი დაამატა კიდევ და, ახლა ბოში რომ აუფეთქო, ვერ გააღვიძებ.

მაშინ რა ვქნა? პარკამდე შორსაა, ტაქსის ფული კი არა მაქვს.

- ფულზე ნუ წუნხარ. ოცი ლარი ხომ გვეყოფა?

- კი, მაგრამ შენ საიდან ფული?

- ამას წინათ ვნახე ეზოში ეს ქალაღის ნაგლევი, თქვენ რომ ფულს

მანტირებდნენ ყველაზე უფრო. მაგრამ პარკამდე საკმაო მანძილია. მოდი ერთი, რეზისთან დავრეკავ. მანქანით გამოვა - პარკშიც გავიყვანს და თან ბამბოსაც გავაცნობ.

- არ გამოვა. მაგ შენმა ძმაკაცმა გუშინდელს ამ დილას არაყი დაამატა კიდევ და, ახლა ბოში რომ აუფეთქო, ვერ გააღვიძებ.

მაშინ რა ვქნა? პარკამდე შორსაა, ტაქსის ფული კი არა მაქვს.

- ფულზე ნუ წუნხარ. ოცი ლარი ხომ გვეყოფა?

- კი, მაგრამ შენ საიდან ფული?

- ამას წინათ ვნახე ეზოში ეს ქალაღის ნაგლევი, თქვენ რომ ფულს

ეძახით. ვიფიქრე, რა იცი, როდის გამომადგება-მეთქი და შევინახე. ასე რომ ფული გვაქვს.

აი, თურმე რა ბიზნესზე ლაპარაკობდა ბამბო.

- არა, შენგან ბიზნესმენი არ გამოვა. დაგვიანებულია, - დასკვნა უცებ. აბა, ნავედით პარკში.

ცოტა ხანში უკვე ტაქსის ვაჩერებდით. საიდანღაც ოცლარიანი მთარბენინა. პირში ჰქონდა გაჩრილი. რომ გამოვართვი, - ფუ, რა ჭუჭყიანიაო, - თქვა და, მომეჩვენა თუ რა იყო, გადააფურთხა. „ჭუჭყიანი უძახე შენ, რამდენ რამეს აკეთებ!“ - გავიფიქრე მე. ამასობაში ტაქსიც გამოჩნდა.

- იცოდე, ნინ მე ვჯდები! - ყვირის ბამბო.

- ვითომ რადაო? - ვეკითხები.

- ფულს მე ვიხდი და იმიტომ. ვინც მუსიკას უკვებდა, ის ცეკვავს, ეს მაინც არ გაგიგია?

- კარგი, - ვუბნები და ნინა კარს ვუღებ. გაღება ერთი იყო და, ნინა სავარძელზე შეხტა. მძლოლი გაკვირვებული გვიყურებს.

- ეს ბამბოა! - ვუბნები. - ნინ დაჯდება. პარკამდე მიგვიყვანე.

- აუ, ჩემი ბედი, რა. დღეს გავრეცხე მანქანა. ახლა ძაღლები მინდა? - ბრაზობს.

- ხო კარგი, ნუ წუნუნებ. სუფთაა.

- სუფთაა, მე და ჩემმა ღმერთმა, სულ „არეული“ რეცხავ, აი! - არ ისვენებს, მაგრამ ვატყობ, რომ უარსაც არაა.

- „არეული“ მამაშენი გარეცხე! - გაბრაზდა ბამბო.

- რა პატარაა და ნახე, როგორ იღრინება! - უკვირს მძლოლს. ესე იგი, არ ესმის, ბამბო რას ამბობს. გამოდის, მარტო მე მესმის. ახლა პარკში კი არა, ექიმთან უნდა მივდიოდე. უკან ვჯდები. ტაქსიც დაიძრა.

- ფანჯარა ჩამინიე, რა! - მეუბნება ბამბო.

- ჩუმად იყავი, თორემ მძლოლი მეცემინება! - ხმადაბლა ვუბნები მე და ფანჯარას დაბლა ვუწევ.

- რა მითხარი? - ეს მძლოლია.

- არაფერი, - ვთქვი მე და ახლა ჩემი ფანჯარაც ჩამოვინე.

ბამბო უკანა ფეხებზე შედგა და თავი ნიავე შეუშვირა.

- აუ, რა მაგარია! - თან ყვირის და ფანჯარაში გაშვებულ ძაღლებსა და ლეკვებს ათვალევირებს.

- ნუ ყვირი, თორემ ფეხით მოგვინეკს ნასვლა! - ვაფრთხილებ მე.

- რა მითხარი? - მეკითხება კვლავ მძლოლი. მგონი, მთლად ნორმალური არ გგონივარ.

- რალაც ნაცნობი სახე გაქვს. დიდი ხანია ტაქსაობ? - მოვიფიქრე შეკითხვა.

- ბავშვობიდან აქა ვზივარ!

- მე კი პარლამენტარი მეგონე, ვიფიქრე, უფასოდ ნაგვიყვანს-მეთქი! - ვითომ ვიხუმრე, გადაცემა გამახსენდა - „ტაქსი“, პარლამენტარებს რომ ხალხი დაყავთ ტაქსით უფასოდ და თან აბოლებენ.

- ღმერთმა დამიფაროს, ძმაო, - პირველად გადამინერა. - ჩემი ალალი ორი თეთრი მირჩენია.

ამასობაში პარკთანაც მივედი. მძლოლს ოცლარიანს ვანვდი. ის თხუთმეტ ლარს გვიბრუნებს. ხუთი ლარიც უკან გვირბა. ესე იგი, ათი ლარი კიდევ გვრჩება. ლუდი... გადმოვდევარ და ბამბოსაც კარს ვუღებ. დინჯად გადმოვიდა.

- შეგიძლია, ერთი კათხა ლუდი მიირთვა. დილას ხომ შენ დამპატივე, ახლა მე გეპატიეები, - მეუბნება დიდსულოვნად. - მე მანამდე ცოტას გავინავარდებ.

ლუდის დაღვევა კი მართლა კარგია. როგორ არის! „ვიცი ლუდი და ძეხვი, შეჭამე და გაძეხი“.

- ძეხვი ჩემთვისაც აიღე. არა, „სასისკი“ ავიბრუნებ. - მეუბნება, თან დარბის აქეთ-იქით.

იქვე, პარკის შესასვლელთან, პატარა საზაფხულო კაფეა. მაგიდები გარეთ დგას. მე პარკმენტთან მივდივარ და შეკვეთას ვაძლე.

- თუ შეიძლება, ერთი კათხა ლუდი და დანარჩენის მონონიკი, თან მდოგვიც გამოაყოლეთ! - ვამბობ და ოთხ ლარს ვანვდი.

- შენა, ჩემი ძმა, თვალში ხომ არ გეპატარავები, თუ გინდა, გებეთო ახლა ან ბოთლი თავში.

- გეკადრებთ? კი მაგრამ, რა დავაშავე?

- აბა, რა მონონიკი აგიტყდა?

- მონონიკი არის „სასისკის“ ქართული შესატყვისი!

- მაი ვის მოატყუე, იცი, ვინც მოგიტყუებია!

- კარგი, ბატონო, მაშინ ერთი ბაკალი პივა მომეცი და დანარჩენის სასისკი და გარციცაც გამოაყოლეთ.

- ასე, ადამიანურად რომ დეილაპარაკებ, მეც ადამიანურად დეგელაპარაკები! - მოლბა უცებ.

ყველაფერი ერთ განაპირა მაგიდასთან მივიტანე, თუმცა სულ ორი მაგიდა იყო დაკავებული. პარკშიც არ ჩანს ბევრი ხალხი. ამ დროს ბამბოც მოვიარდა. ნარბენი. ეტყობა, კმაყოფილია. მისი ნილი ულუფა გადავუღე. გემრიელად შევექეცი. ხალხი გაკვირვებული გვიყურებს. ბარმენი ვერ ხედავს ბამბოს - მე ვეფარები.

- შენა, არ დაღვე? - ვეკითხები.

- არა, არ მომწონს, მერე თავს მატიკებებს, - მეუბნება. ძალასაც არ ვატან.

ლუდი იყო ძალიან გემრიელი. არა რა, ბამბომ გადამარჩინა. აი, ახლა კი ბედნიერი ვარ. ნამდვილად ღმერთმა მომივლინა ეს ლეკვი.

ახლა უკვე პარკში სკამზე ვსხედვართ. ორივე ძალიან კმაყოფილი ვართ და გამვლელებს ვათვალევირებთ.

- ბამბო, ნახე, რა ლამაზი გოგო მოდის! - ვუბნები მე და გოგოზე ვანიშნებ.

- ბოზია მაგი, - მეპასუხება ბამბო.

- არ გრცხვენია, რას ამბობ?! - შევიცხადე მე.

- რა მრცხვენია. ჯერ ერთი, ბოზი ძველ ქართულში ლამაზს ნიშნავს. ხომ ხედავ, რომ ლამაზია. მეორეც კიდევ - ეს მართლა ბოზია. ორი თუმანი მიეცი და საუნაში ერთი საათი ისე ეყვარები, როგორც ყველი და პური.

- შენ ამდენი სიკვდილი იცი? - ვეკითხები გაკვირვებულნი.

- ვიცი, ვიცი, ვიცი, ვიცი, ვიცი, ვიცი, მაქვსო.

- აბა, ის თუ იცი, საქართველოს ნაკრები საბურთეთთან რას იზამს?

- რა, ტოტალიზატორში გინდა თანხა ჩადო? არ ენდო, თუ კაცი ხარ. ან შენ რისი ჩამდები ხარ, ფული არა გაქვს. მაინც არ ენდო, დამოჯერე. ტოტალიზატორის ამბებს ვარსკვლავებიც ვერ ხვდებიან და ფეთქდებიან.

- ტოტალიზატორი რა შუაშია. მიდი, რა, ბამბო, რა, მოგვაგებინე, რა. შენ ხომ ჯიგარო ლეკვი ხარ. მიდი, რა, - დაუწყე ხვენწა, არადა, ამნუთში მართლა მჯეროდა, რომ ბამბოს ეს შეეძლო.

- ხო, კარგი, ვეცდები.

უცებ ბამბოს სახე შეეცვალა. ვხედავ, ვილაცას გაბრაზებული შეჰყურებს. მის მზერას თვალი გავაყოფი, ჰო, ჩვენც კენ დიდი ძაღლი მოდის. საერთოდ, ძაღლები ჯიშში ცუდად ვერკვევი, მაგრამ ეს ნაღდად ბოქსი-ორია, იმიტომ, რომ ცხვირი ჩაწყლებული აქვს.

- რას ერჩობი ჩემს პუკას? - დაუნყო შორიდანვე ყვირილი ბამბოს.

- მეტი ეკუთვნოდა მაგას, - ნირი არ შეუცვლია ბამბოს. - აბა, რა არის, რომ იგინება?

- რას იღრინები! - ავეცი მეც ბამბოს. - მართალია, მეტიც ეკუთვნოდა. ცხვირჩაწყლებული ამკარად არ ელოდა ჩემგან შეტევას. უკან მიხედა, ალბათ, თავის პატრონს თუ ეძებდა. არაფერი არ უთქვამს, ერთი კიდევ შეიღრინა - „მაცალეთო“ და წავიდა კუდამოძულებული.

- რა მაგრები ვართ, არა?! - უხარია ბამბოს.

- ხო.

- რა გაბუნძულდა!

- მაგრად, მაინც რა დავიშავა მაგისმა ლეკვმა? - ვეკითხები მე.

- ჯერ ტუჩზე რძე არ შემოიბოძა და რეულსა და ჯილავს იგინებ... ჰოდა, მიიღო კიდევ ყურის ძირში. მაგისთვის გინების სწავლას, მშობლებს არ ერჩიათ, რამე ლეკსი ან სიმღერა ესწავლებინათ?

- ჰო, მაგრამ ახლა სადმე რომ დავიმარტოხელოს?

- შენ მაგაზე არ იდარდო, - დამანყნარა ბამბო.

უცებ პარკში ქარი ამოვარდა. მზე ღრუბლებმა ჩაყლაპა თითქოს და ჩამოხვეწდა. მერე ელვამაც გაანათა. ცოტა ხანში ქუხილის ხმაც გაისმა და წვიმის წვეთები წამოვიდა. ჯერ თითო-ორი. მერე თანდათან იმატა.

- აბა, ნავედით ახლა სახლში, თორემ გასანურავი გავხდებით! - მეუბნება ბამბო. უცებ მართლაც თავსება ნიშნა წამოვიდა. მე და ბამბო ტაქსების გაჩერებისკენ გავრბივართ. გზად პატარა ნაკადული უნდა გადაგვევლო საცალფეხო ხილით. ბამბო ადვილად გადავიდა, მე კი ფეხი დამიკურდა და წყალში მოვადინე ტყავანი...

ვაიმე... ლოგინიდან გადმოვვარდნილვარ. იატაკზე კი წყალი დგას. ალბათ, ონკანი დამრჩა ღია. მესი? მესი კი არა, კარებზე აბრაზუნებენ? ჯერ სამზარეულოში გავიდი. იქ უკვე ვენცია. ონკანი გადავკვეთე. გადავიცი და კარისკენ მივდივარ. გავალევიდაც ლამაზი გოგო ხელში ბამბის ქულასავით ლეკვით...

- მობრძანდით.

- იცით, მე თქვენს ქვემოთ ვცხოვრობ. თქვენი ბინიდან წყალი ჩამოდის.

- ვიცი, - ვუბნები მე. - მამა-ტყე თქლიმფლო, დილით წყალი არ მოდიოდა და, ეტყობა, ონკანი დამრჩა ღია.

- ასე არ შეიძლება!

- ვიცი. მამა-ტყე. უპაცრავად, ეს ბამბოა, ხო?

- დიას, და თქვენ საიდან იცით?

- ვიცი, ვიცი, ჩვენ ყველაფერი ვიცი. ბამბო, ხვალ უნდა მოვიგოთ, ხო იცი...

აბულყასიმ ფირდოუსი

შაჰნაძე

ქაიქაუსი

ლაშქრად წასვლა მაზანდარანს

აჰა, იზარდა... ნერვმან რგულმან აიშვა თავი,  
ვერ დაფარა და - გამოიღო ნაყოფი ავი.

მწვანე ფოთლები გაუყვირდა, შეერყა ძირი, -  
იდგა კენწეროჩაქინდრული, ვითარცა მწირი.

ის-ის იყო და ბრძოლა ჩაცხრა, შიში და ძრწოლა  
მიჩუმათა და... მზადდებოდა ხელახლა ბრძოლა.

გოლესთანებში მშვიდად როინის ნატრობდა თვალი,  
მყოვარ უამს ქარქაშს დავანებას ნატრობდა ხმალი.

გარნა ნუ გიკვირთ, თუ ლევიდება მძნელობის თესლი,  
მას ხომ საძირკვლად ადრიდანვე დაედო გესლი.

ხაზინა, განძი, არნაპოვნი მუქთად და უცბად,  
დიდი ლაშქარიც ჩააბარა მშობელმა თუმცა;

რა ბედენაა უდიდესი დანატოვარი,  
თუ ზრდილმა მზრდელის გზა არ იცნო კარგზე მგზოვარი.

თუკი მოძღვარის გზას არ გაჰყვა მსმენელი მისი,  
არსთარსებისგან მიეზღვება დღეები მქისი.

ასეთი არის სამართალი უმართლეს მსჯელის, -  
მას არც უხამსი დაემალვის და არცა ტრელი.

ცნობასუსტობით ვინც არჩია გზები როში,  
გაიხლართება თვისსავ შექმნილ იონიში.

ოდეს ქაუსი მამის გვირგვინს დაეპატრონა  
და ვრცელ ქვეყანას ერთიანად დაებატონა.

განძი ურიცხვი ჩაიბარა, სიმდიდრე - დიდი,  
მუხლმოყრით იდგნენ რჩეულები მის ახლოს რიდით.

სპეკალების და აღრალების ატყდა ციალი,  
ტყვე იქმნა თვალი ძვირფას თვლების ოროსტრილით.

კარს გაღმა იდგა თაზურ ცხენთა ფრთიანი რემა...  
ხარობს ქაუსი... სხივნიც მეტი დაგზავნა მზემან.

და ჰა, ბედნიერს გოლესთანში ქეიფი ნებაგს,  
თასი ასნია... ნეტარებით, სიამით დნება.

მორთხმული არის ოქროს ტახტზე, გარს კი წვეულნი  
შემოსხდომიან მთელი ქვეყნის რჩეულთ-რჩეულნი.

ლაღობს ქაუსი, რჩეული ეტყვის: ურყევად მჯერა,  
არა შობილა ჩემი სწორი მუფუე ჯერაც.

დიდებულთ უკვირთ მბრძანებელის უღვთო ქადილი,  
გარნა მეფესთან შესიტყვება არ არს ადვილი.

და ჰა, ეშმაკი, აღკაზმული მუტრიბის დარად,  
კარისკაცთ უფროსს მიეხალა, შესთხოვა წყნარად:

მაზანდარანით მოვიჩქარი... მინდა ნადიმი  
გაგილაზამოთ... არტყუილი ვიცი ქადილი.

ისე ვიმღერებ, შვიძვირან ქვანი და ხენი, -  
გვერდით დამისვამს მეფე თქვენი, ავაესებ ლხენით.

მეფესთან გაჩნდა იმავე წამს კარისკაცთ თავი,  
სურნელოვანის მოიყოლა სიტყვების ხვავი.

მერმე აუნყა: მოსულია მუტრიბი უცხო,  
მპირდება, შენდა საამებლად ძალ-ღონეს უხმობს.

მეფემაც უცხო მომღერლისა მოყვანა ბრძანა,  
მუტრიბთა შორის მიუჩინეს ადგილი თანაც.

რუდი აიღო მან მოსულმან, და ვითა ბანგი,  
მაზანდარანის გაბატონდა ჰაერში ჰანგი.

სიმღერის მსმენელ ქაუსის გულს ძეგრამ უმატა,  
ჰანგმან მან ყველა სხვა სურვილი მიუჩუმათა.

აღზევდა ერთი სანადელი - მაზანდარანი  
დაიპყროს სურსლა... მეტი არცრა, არა არავინ,

მიუბრუნდება, აგრე ეტყვის სახელოვანებს:  
ჩვენ აქ ვქეიფობთ, ნაირნაირ ჰანგებს ვხმოვანებთ -

გვაგინწყდება კი - ზიანია ომისთვის ლხინი, -  
საომარ ძალას გამოვიცლით ალვისილი ღვინით.

ზოჰაქს და ყობადს დია ვმეტობ ჭკუა-გონებით,  
საქონელიც მაქვს ვერვისაგან ანანონები...

მაზანდარანთან ომი მმართებს ამიტომ თუნდაც, -  
გამოვაჩინო გულოვნება-მხნეობა უნდა!

ამა ნაუბარს მბრძანებლისას ვინაც ისმენდა,  
სიმძიმელსა და ჭმუნვარებას შემოისევდა.

დამუნჯებულნი იდგნენ გივი, ქეშვადი, როჰამ,  
გოდერძი, თუსი... უამიდანყამ ისმოდა ოხვრა.

წარსდგა გორგინი, წამოიწყო და აჰყვნენ სხვანიც:  
მეფეო, შენ ხარ მბრძანებელი, ჩვენ კიდევ - ყმანი.

რასაც ინებებ, აღვასრულოთ - ჩვენი ვალია,  
მეფის სიმართლეს, არსიმართლეს - სამართალია.

გაინაპირეს მერმე ერთად, იუბნეს ბევრი,  
ჭირმრავალნახულთ ამეტყველეს გონება მჭვერი.

ბჭობენ: იქნება ქეიქაუსს ღვინო მოედო...  
დღევანდელ ჭმუნვას ხვალვე იქნებ ბოლო მოედოს.

ხვალე იქნება არც ახსოვდეს ნათქვამი თვისი, -  
ნასვამი კაცი, უწყით, სიტყვას ჰაერზე ისვრის...

თვით ბრძენ ფრიდონსაც არ მოსვლია ამგვარი ზრახვა  
და შმაგ დევებთან ქაუსს ბრძოლა სწადია ახლა...

რათა ქვეყანას ავაცილოთ უბედურება, -  
ჭკუას მოუხმოს, ჭკუა სალად ვისც ეგულება!

მრავალ ჭირ-ვარამ გადახდილნი! - აუბნდა თუსი -  
გულს შინა ღელვა-ფორიაქი მართლად სჯას უშლის...

მაინცლა ვფიქრობ, გზა ერთია, - საამის ზაალს  
მივმართოთ... ხსნის გზა სხვა არ ვიცი, ეს ერთი გზა არს.

რა ძვირად უღირს ქეიქაუსს თათბირი მისი,  
თავადაც უწყით... სხვა რა გითხრათ, შემძლე ვარ რისი.

ახლავ ვაფრინოთ მალემსროლი ფრთიანი რაშით,  
ჩვენ ჩვენი ვცადოთ, ცუდი ანდა რა არის ცდაში...

და ჰა, ნიმრუში მალემსროლი მიქროლდა ქარებრ,  
ენვია მას კაცს, განსჯაფართოს, პირმანგსა მთვარეს.

ჰკადრა: - სალაში სახელგანთქმულ სიამის ძეო,  
კეთილ ნაყოფით დახუნძლოლო მაღალო ხეო!

საქმეა ერთი - გონებეიერ კაცთათვის ნასი...  
და რადგან ვიცით სიტყვის შენის ნონა და ფასი -

ჩვენი ქვეყანა თუ არ გინდა, ჭირში ჩავარდეს,  
ქამარი უნდა შემოირტყა, - გრძელ გზას დავადგეთ!

ირანის მეფე ავი სულის აჰყვა ცდუნებას,  
გონებისათვის არსაკადრი მოიგუნება...

რაც მამისაგან განძი ერგო, ეცოტავება,  
ვშიშობთ კი - ვაჰ, თუ აპრიმანის მახეს გაებას.

ზენამ დაფალი სანადელი გაუვაზირა -  
დავეუფლოო მაზანდარანს, - მდიდარ ხაზინას.

მცირე ხანიც რომ დააყოვნო, დევთა საუფლოს  
წავა სალაშქროდ... ჭკუათსაფერ გაესაუბროს -

და შეაგონოს, სხვას ვის ძალუქს, წავიდეთ ჩქარა,  
თორემ ირანელთ სისხლი მალე დაიძვრის ღვარად.

მოხდება, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდი, -  
დაიღუბება, ყობადის დროს რასაც იძენდი.

ჯერ ძუძუს სწოვდა, მაინც თანვე დაგყავდა შვილიც,  
ფიცხელ ბრძოლებში შემოაცვდა ბავშვობა ტკბილი;

რაც მოიპოვეთ, ყველა უცბად დაიღუბება,  
სიტყვა ამეფე და... წარსტაცე ამის უფლება!

ცეცხლის ალივით გულზე ეცა ნათქვამი დასთანს, -  
თვითრჯულიაო მეფე ჩვენი, რას ვიქმო მასთან.

ოღონდაც მონად გაიხადოს მთელი სამყარო,  
მზად არის, მებრძოლთ უამური დღენი გვაყაროს.

ერთიან და თრთიან დიდებულნი მეფის წინარე, -  
რომელიც გინდა დიდებული მასთან ვინ არი...

დროშა გაშალეს, რა ირანის მიადგნენ საზღვარს,  
მალლა აღმართეს დროსა, ვითა უკვდავი ბაზმა.

დაიძრნენ სტუმრის შესახვედრად გივი, როჰამი,  
თუსი, გოდერძი... გაისმოდა ჩუმში ოხვრანი.

ვის შეენის ხმლის და ფალავანის ქუდის ტარება, -  
რჩეულთა რაზმი მასთან შეყრად მიექანება.

დიდი სპასპეტი ახლოაო, ოდეს იდროვეს,  
პატივად მისდა, ყოველს უჩანს, ფეხით ვიდოდეს.

ქებანი ჰკადრეს საკადრი და სიტყვა მრავალი -  
ამოდ სასმენი... სასახლისკენ ლალად მავალი -

ეუბნა თუსი: სწორედ დროზე მოხვედი, რადგან,  
მეფეს შენ უნდა მოაჩვენო ნათელი ნათლად!

ამ ძნელ და გრძელ გზას ასე სწრაფად გალევდა კაცი,  
დაფიქრებულა ვინც ირანის ილბალზე განცდიო.

დიდება შენი გაცდენილ არს სამყაროს კიდეს,  
გულლებს მოგიძღვნიო... ამავე დროს გაბარებთ კიდევ.

ისმის პასუხი ზაალისი: ვამჭვერებ ენას,  
თუ დამიჯერა, მეც ვიხარებ, მოგეცათ ლხენა!

მეფეს რაიმე შეაგონო - ნამდვილად ვიცი,  
დია საძნელო საქმე არი... რად უნდა ფიცი -

თავს არ დავზოგავ. და თუ ყურად არ ილო რჩევა, -  
ინანებს, ოდეს მიეგება დევთაგან ძლევა.

ლაღადჰყვეს ზაალს დიდებულთა: გასასობთ, უწყი,  
საუბარკეთილს მეფენი ხომ გისმენდენ უნი...

ქაუსიც როგორ არ მოგისმენს, როცა გონებას  
აჩირადანებ, - მოგდგამს ნიჭი და შთავონება?!

სპარსულიდან თარგმნა ბელა შალვაშვილმა



ზურაბ ქობალია

ომი ომის

ასე მგონია, ომი ომია,  
სადაც გინდა მძვინვარებდეს,  
ვერ აოკებს მას ვერავინ -  
ჯარისკაცთა ფარულ ვნებებს.

ომში გარდაუვლად ჩნდება,  
მას ფარულად ყველა ხვდება,  
ჯარისკაცი მკვლელი ხდება,  
ამდენ მკვლელს რა ეშველება?!

სულერთია, რომელ მხარეს,  
რომელ ფრონტზე იბრძვის იგი,  
უფლის ელის ის განაჩენს,  
განაჩენთან თავად მიდის.

რა ვქნა, მკვლელებს ვერ ვამართლებ,  
თუმცე სამშობლოს ვუნთებ სანთლებს,  
სხვა ვერავინ დაძრავს ამ მთებს,  
მას ლლატი რომ არ ახლდეს.

ჩვენი გმირი სხვას რომ კლავდა,  
სხვათა გმირი კლავდა ჩვენებს,  
აქ გმირობას ვანიჭებთ და  
იქ უფალი შეაჩვენებს.

ომი თუ გვსურს, შევებრძოლოთ  
კოვიდებს თუ ომიკრონებს,  
ასე ვფიქრობ, მალე, ვინძლო,  
დავამარცხებთ თავად ომებს.

ერთი ჰატარა ოთახი

ერთი ჰატარა ოთახი,  
შიგ - ლოგინი და მაგიდა,  
როცა სტუდენტი ვიყავი,  
აბა, სხვა მეტი რა მინდა?!

მაგრამ დრო გადის, მიფრინავს,  
ეგ სტუდენტობაც გაფრინდა,  
მას მერე დავეხეტები,  
ვეღარ მიფარებს მთანმინდა.

ერთი ჰატარა ოთახი,  
შიგ - ლოგინი და მაგიდა,  
ნუთუ ვერ დავივითხე,  
სხვაგან კი არა, აქ მინდა.

იქნება, არც კი მეკუთვნის,  
იქნება, არც ვარ მე ღირსი,  
ამას გადაწყვეტს საკუთრივ  
ხვალინდელი და მერმისი.

გზავთხყოი

გაზაფხული რახანია  
ჩემს სოფელში ზეიმობს,  
ია-ვარდი ლაღობს ახლა,  
სადაც ადრე ტყე იყო.

მალე მერცხლებს მოვლიან,  
გაუჭიმავეთ მავთული,  
ბელურები ხეზე სხედან  
ბუდის ქსოვით გართულნი.

ისმის ლალი სიმღერები  
მეგრულ-სვანურ-ქართული,  
მალე მოვა გაზაფხული -  
ლოდინში ვართ ჩართულნი.

მანანა თევზაძე

საქართველოს რეჟისურა, მსახიობი გარემო, სტილისტიკა...

რობერტ სტურუა სემუელ ბეკეტს მესამედ დგამს. მანამდე იყო „კრევის უკანასკნელი ჩანანერი“ - 2002 წელს მოსკოვის თეატრში - „Et Cetera“;

„გოდოს მოლოდინში“ - 2002 წელს და „თამაშის დასასრული“ - 2020 წელს, თბილისში, რუსთაველის თეატრში.

სტურუა მიიჩნევს, რომ შექსპირმა დიდი გავლენა მოახდინა ბეკეტის შემოქმედებაზე.

1957 წელს დაწერილი პიესა „თამაშის დასასრული“ რობერტ სტურუამ ადრეული ევროპული აბსურდიზმის სტილით არ დადგა: არა - ქუჩაყანი საყოფაცხოვრებო ინტერიერით, არა - უსახლკარო-აუტიტუტური გარემოს, პროვოკაციულად არაკონფორმისტული, ანტიურთულაზიური პოზიციით მოტივირებული პერსონაჟებით, არამედ - ნახევრად სიგიჟემდე მისული ბრძენი ლირის მსგავსი და პიესის ტექსტის ნაკითხვის მისეული სტილით.

ალსაქმელად უჩვეულო, მაგრამ ძალიან თანამედროვე წარმოდგენა მასწავლებლისგან გარკვეულ მზადყოფნას მოითხოვს. ის ნაცნობი თეატრალური ტრადიციების გარეშე. თითქმის ყველაფერი, რასაც ვხედავთ და გვესმის, აბსტრაქტულია: პერსონაჟები, ტექსტი, სიუჟეტი, სივრცე - ოდნავ მსგავსდებასაც კი ვერ პოულობს სინამდვილესთან.

სპექტაკლი პირველივე წუთიდან გიპყრობს, მასწავლებელი ოდნავ შემინებულია, არაფერი ესმის და, ამავედროულად, აინტერესებს, რა იქნება შემდეგ?.. საათ-ნახევრის განმავლობაში სცენაზე დეკორაცია არ იცვლება, რეჟისორები მორიდებულნი არიან. სპექტაკლს არც დასასრული...

მხოლოდ ბიჭი, რომელიც აზრობრივად და ვიზუალურად კრავს სპექტაკლს, რაც მხატვრული მინიმუმებაა კაცობრიობის მოდგმის განვლილ ტრაგიკულ ეპიზოდებზე, რისი ალქაცა, გააზრებაც და მიღებაც კაცობრიობამ თითქმის ვერ შეძლო ან არ ინება... რის გამოც სინანულის განცდა თითქმის არ გააჩნია... მსახიობები აიძულდებიან მასწავლებელს, იფიქრონ სიცოცხლის დასასრულზე და არსებობის უაზრობაზე.

უჩვეულოდ შეკუმშულ სივრცეში პერსონაჟებს საუბარი და მოქმედება უძნელდებათ. ყოველი სიტყვის წარმოთქმა, ურთიერთობაზე რომ აღარაფერი ვთქვა, დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

სამხიელი ურთიერთობა კლოვისა (გ. ბარბაქაძე) და ჰამს (დ. უფლისაშვილი) შორის - ურთიერთობა მსახურსა და ბატონს ან - ვაჟსა და მამას შორის...

ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულ ბრმა ჰამს ფეხზე დგომა არ შეუძლია - უმნერო, სასიკვდილოდ გამზადებულ არსებას, ადამიანური შეცდომებით სავსეს, მაგრამ არა საცოდავს, აი ამ ბრმა ჰამს, რომლის სხეულს სულ უფრო და უფრო ტოვებს გონება, საიმისოდ მაინც ჰყოფნის ძალა, დროდადრო კლოვი გააგზავნოს იმის გასაგებად, თუ რა ხდება ფანჯრის მიღმა... მერე ნამით წამოიწიოს, იყვიროს, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეს...

სიბრძავე, სიყრუე, დაბლა, ავადმყოფობა - ამ სპექტაკლში ყოველივეს აქვს სიმბოლური მნიშვნე-

ნელობა: მთელი კაცობრიობა ერთგვარ ეგზისტენციულ დამბლასა და იზოლაციაშია.

ერთადერთი, ვისაც მოქმედება და სივრცეში დამოუკიდებლად გადაადგილება შეუძლია - კლოვისა, და ისიც ცალ ფეხს მიითრევს... სრულიად უაზრო სამუშაოს უაზროდ, ფეხათრევით ასრულებს... მისი ყველა დაუიწიკრებელი, ცვალებადი თვისება, გარდა, შესაძლოა, აგრესიულობისა - მუდმივია! ცხოვრებისეული კავშირების აღმოჩენისა თუ გამორკვევის მცდელობებით კლოვი იდეალურად ანადგურებს ყველა ილუზიას. გმირის ამგვარი შემზარავი განზოგადება მას მოვლენათა დრამატულ ცენტრად აქცევს.

ავანსცენაზე, ნაგვის ორ ბუნკერში, ორი თითქმის უსხეულო არსება თუ მოჩვენება - ნაგი (ლ. ბერიკაშვილი) და ნელ (ნ. ფაჩუაშვილი) - ამთავრებს არსებობას... ცარიელი სივრცის შუაგულში, ნაგვის ურნაში... მოხუცი ქალი, რომელსაც



სხვა გზა არ აქვს, გარდა იმისა, რომ ქმრის ბუზლუნს უსმინოს...

მამის მსგავსი საცოდავი არსება, შვილთან იშვიათად მოსაუბრე, ფაფის მთხოველი...

გიჟური საუბრები და საუბრების სიგიჟე...

რა იმალება ამ ყველაფრის უკან? სიკვდილი, უიმედობა, უტოპია...

მოხუცი ნაგი, რომელიც თითქმის სხეულის გარეშე არსებობს, ყვირის, ხავის თუ ყმუის და თვალს აღარ ახელს მისი ხმების გამგონებელს, რომლის სრულიად იდიოტური ლაპარაკი ასაზრდოებს ნაგს.

ნაგი და ნელ - გონდაკარგული წინაპრები...

მოქმედება სივრცეშია, მაგრამ არა - გაურკვევლობაში, სრულ არარაობაში, მჭიდროდ შეზღუდულ სივრცეში, სადაც არ არის თუნდაც წარმოსახვითი თავისუფლების განცდა.

პერსონაჟთა ეს კვარტეტი იმ უსახლკაროებს ჰგავს, რომლებმაც სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე უცნაური სიუჟეტის გათამაშება ისურვეს. უმიზნოდ და უიმედოდ თამაშობენ აბსოლუტურ სიგიჟეს - სიყვარულს, სიცრუეს, სიჩუმეს, სივარულს... და ეს გიჟური თამაში ვერანაირად ვერ სრულდება. მსოფლიოს დიდ ნაგავსაყრელზე მთავარი პრობლემა ის არის, რომ უკვე მოხდა გლობალური კატასტროფა ან სადაცაა მოხდება... აი, უკანასკნელი გაბრწყინება და სილატაკე...

ოთხი მსახიობი სცენაზე მართავს დიალოგს, რომელშიც არ არსებობს და არც განიცდება სენტიმენტალური ემოცია... აქ მთლიანი ყოფა ტრაგიკული და არა - ერთი ადამიანის ცხოვრება. აქ ჯერ კიდევ არის მონოლოგი, მაგრამ დიალოგი პრაქტიკულად გამქრალია. ტექსტი ყოველგვარ მოტივსა მოკლებული, თუნდაც პირადულს, დაქრალია ბიოგრაფია, მარტობის, შიშის, იმედგაცრუების, იმედის თემა; ბიოგრაფიებისა და შიშის დრო დასრულდა, სიტყვები სივრცეში გამოხატავენ, ურთიერთობა კი ისეთივე წარმოსახვითია, როგორც საერთოდ არსებობა.

არაბუნებრივად გათვრებული სახეები, ბოროტი ჩურჩული და ოხვრა - არის ის, რაც ქმნის სტურუასთვის საყვარელი იდუმალებისა და შიშის ატმოსფეროს.

ამ წველითა როლების შესრულება საოცარი! ერთი მხრივ, სრულიად პირობითი სახეები, თითქმის თოჯინები, მაგრამ მაინც, ნაგი - გაკვირვებული თვალებით, ჭირვეული და საძაგელი ინტონაციებით, ნელ - უაზრო მხერით, მწკლამუნა ტუჩებითა და ბურტყუნით... განვლილი ცხოვრების ფრაგმენტებით, დემენციური ჭორებით - ტრაგიკული გროტესკი!..

მსახიობების ბრწყინვალე თამაში, რა თქმა უნდა, მოსმენასა და ყურადღებას იმსახურებს. გრძობები, ემოციები, რომელთა სიმართლეში ეჭვი არ გეპარება, ადამიანს არწმუნებს, რომ სცენაზე ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობენ.

არტისტების მიერ წარმოთქმული ტექსტი, შესაძლოა, ძნელად აღსაქმელი და გასაგებია, მაგრამ ჩანაფიქრი და მისი ხორცშესხმა ყოველგვარ საქებას სიტყვას აღემატება. ნიჭიერი მსახიობების განსაცვიფრებელი შესრულება, სპექტაკლის უნაკლო სცენოგრაფია

კუთარ სიკვდილთან შესახვედრად? საკუთარი თავის შესახებ კითხვების გადასაჭრელად?..

სპექტაკლის შემდგომი ოვაციები გამიზნულია არა იმდენად რეჟისორისათვის, რამდენადაც თეატრალური ხელოვნების თავმდაბალი გენიოსებისადმი.

ბეკეტი ალბათ მე-20 საუკუნის ბოლო ტრაგიკული პოეტია.

მსახიობის თამაშის სტილი

დიახ!!!

თეატრი სინთეტური მოვლენაა, თავისებური პოლიფონიური ხელოვნება, რომელშიც ერთადერთი, კერძოდ, თეატრის კუთვნილი ხელოვნება - მსახიობის ხელოვნებაა.

პოსტმოდერნიზმის ეპოქამ ეჭვქვეშ დააყენა მსახიობის დომინანტური როლი თეატრალურ პროცესში, ზოგ შემთხვევაში, იგი სცენაზე პერსონიფიციურულ სხეულად აქცია, რომლის გამოყენებაც მხოლოდ

შპრისები მსახიობის პორტრეტისათვის... დავით უფლისაშვილი

და მეტად ზუსტი მუსიკალური თანხლება განაპირობებს სპექტაკლის წარმართვას. სტურუა ყოველივეს საუკეთესო უძველეს ტრადიციებზე დაყრდნობით ახორციელებს...

სპექტაკლის დაწყებიდან უკვე 15 წუთის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ამ კოსმოსში არაფერი ახალი აღარ მოხდება. მხოლოდ ჩნდება სურვილი, გავიგოთ, როგორ განიცდიან ამ გარდაუვალ ფაქტს ეს გმირები? მაგრამ ვინ არიან ისინი - მამა?.. შვილი?.. ანდა, საინტერესოა კი, რამდენად სძულს კლოვის ჰამს?.. ან კიდევ, ნაგა თუ არა იგი - საბოლოოდ?.. თუმცა, არც ამის ახსნაა საჭირო! მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა ზნეობრივი კავშირი მთლიანად დაშლილია. აქ სრულიად გაუგებარია, ეს ყოველივე - როგორ, რა და რატომ, სად და როგორ დასრულდება? ყველაფერი აბსურდის თეატრის ჟანრის კანონების მიხედვითაა... ბეკეტის თქმით, არავითარი ზეძალები არ არსებობენ და თამაშს არაფერს ხელმძღვანელობს, ის თავისთავად მიედინება, არც გამარჯვებული ვინმე და არც დამარცხებული. თამაშს ყველა დაასრულებს...

სტურუას სპექტაკლები ერთდროულად კიდევ გარყვევენ, კიდევ გკლავენ და კიდევ აღგადგენენ. კი, იგი დემონსტრირებს თავის მხატვრული გადამწყვეტებით, მაგრამ რა მშვენიერია ეს თეატრალური მწვერვალი... თუ მწვერვალამდე მიღწევა ყველას არ შეუძლია, ის ხომ მაინც უნდა ვიცოდეთ, როგორ გამოიყურება ეს მწვერვალი...

ამიტომ, გაფართოებული თვლებით შევხედოთ ნამდვილ ხელოვნებას.

სტურუა ქმნის არა სანახაობას, არამედ თეატრალურ ხელოვნებას. აბსოლუტურ თეატრს, გრაფიკულად დახატულს, კონცეპტუალურად დახვეწილს, არაფერს ზედმეტს, ყოველი სიტყვა, ყველა დეტალი, ყოველი ჟესტი აზრის კინტიესენციაა. მას არაფერი სურს მასწავლებლისგან: ის არ ვარაუდობს, არც ცდილობს მის დაინტერესებას, მიზიდვას, გართობას... მისთვის თითქმის სულერთიცაა, ამიტომ ხვდება მასწავლებელი სივრცეებს. რაზე უნდა ვიფიქროთ დარბაზში? რატომ მოვდივართ თეატრში? სა-

ფუნქციურადაა სასურველი და შესაძლებელი, და მისი მნიშვნელობა სპექტაკლის სხვა კომპონენტებთანაა გათანაბრებული.

მსახიობის პორტრეტზე ფიქრისას, უპირველეს ყოვლისა, გახსენდებათ სპექტაკლის უნიკალური სივრცითი ჩანაფიქრი, არასტანდარტული მუსიკალური და ხმოვანი თანხლება. რეჟისორის მიერ შეთხზული მოქმედების პოეტის განზრებისას მსახიობის ფიგურა წინა პლანზე წამოიწეწეს, როგორც საერთო კომპოზიციის რიგითი ნოტა და არა სპექტაკლის მთავარი ტონალობა... თითქოს, იგი არც ასოცირდება რეჟისორის ჩანაფიქრთან, რომლისთვისაც მსახიობი ძირითადი შემოქმედებითი ინსტრუმენტია, და მსახიობის პიროვნება - განმსაზღვრელი ფაქტორი სპექტაკლის სახის შესაქმნელად.

ამავე დროს... თეატრალური ხელოვნებისათვის მთავარია:

მსახიობის ადამიანური ინდივიდუალობა, მისი უნარი - შეერწყას სპექტაკლის საერთო სახეს. ადამიანი-არტისტი, რომელიც თავისი ინდივიდუალური თვისებებით, მოცემული გარემოებით შექმნილ სიტუაციებს ეხმარება - ასეთი მსახიობის თეატრალურ პერსონაჟად გარდასახვა რეჟისორისთვისაც საინტერესოა!

რეჟისორისა და მსახიობის ურთიერთობის პრობლემა დღესდღეობით მთავარია თეატრალურ ცხოვრებაში, რადგან ტრადიციული სკოლა იკარგება.

და დღეს, ვფიქრობ, რომ არ შეიძლება, არ ილაპარაკო რობერტ სტურუას სპექტაკლებში მსახიობის საკუთარ თავზე მუშაობის შესახებ, როდესაც რეჟისორი-პოსტმოდერნისტი ეყრდნობა მსახიობის ფსიქოლოგიურ სკოლას, როდესაც შესაძლებელია მასწავლებელსა და მსახიობს შორის მდუმარედ საუბარი.

დიდი ხნის განმავლობაში მისი მსახიობების თამაშზე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ტუნად წერდნენ. მეტი ყურადღება ექცეოდა მის შესანიშნავ რეჟისორულ მიგნებებს, არატრადიციულ სცენურ გადამწყვეტებს, ეფექტებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მის დადგმებში მსახიობს, როგორც თეატრალური

ტილოს ნაწილს, რომელშიც აქცენტი ვიზუალურ კონტრასტს არსებობის სხვა სტილი და ფორმა მოითხოვებოდა.

რეჟისორი რობერტ სტურუა თავის სპექტაკლებში იწვევდა მსახიობებს, რომელთაც სხვაგვარი სამსახიობო სკოლა ჰქონდათ გავლილი. მას უნარი აქვს, იმუშაოს სრულიად სხვადასხვა სამსახიობო მასალასთან, იოვოს მიდგომა აკადემიური თეატრის როგორც უფროსი თაობის წარმომადგენელ მსახიობებთან, ისე ახალგაზრდებთან, ვისთან ურთადაც, ყოველ ჯერზე, ახალ რეჟისორულ ძიებებს იწყებს.

ის ცდილობს, სპექტაკლის შენობა იმგვარად ააგოს, რომ მუშაობა ვისთანაც უნებს, იმათი შესაძლებლობები წარმოაჩინოს, თუ რამდენად საინტერესოა ყოველი ადამიანი და მისი სამყარო.

სპექტაკლის კონცეფციის ჩამოყალიბებისას რეჟისორი თავიდანვე შემოხაზავს მსახიობთან მუშაობის პრინციპს, სპექტაკლის იმ მომავალ ფორმას, რომლის მეშვეობითაც ტონს მსახიობები საკუთარი ინდივიდუალობითა და აქტიურული ორგანიკით იძლევიან, ანუ სპექტაკლი აქტიურული მოზაიკისაგან ყალიბდება.

„თამაშის დასასრული“ მასწავლებელს, ფაქტობრივად, აკადემიურ თეატრში სპექტაკლის დადგმის კიდევ ერთ ახალ, ავანგარდულ რეჟისორულ მეთოდს წარმოუდგენს.

სპექტაკლში სხვადასხვა გამოცდილების მსახიობები მონაწილეობენ, რომელთაც თამაშის სხვადასხვა სტილი, მეთოდი, თეატრზე სხვადასხვა წარმოდგენები აქვთ. რეჟისორი მათ ახლებურად ძერწავს და, საამისოდ, მათს მაღალპროფესიონალიზმს იყენებს. სიახლის საფუძველად იგი დრამატული და ილუსტრაციული სცენების, დანაწევრებული მიზანსცენების, სივრცითი გადამწყვეტების მონაცვლეობას იყენებს.

დავით უფლისაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ბერიკაშვილი არიან ის არტისტები, რომელთაც შეძლეს თავიანთი სკოლის, ტრადიციული აქტიურული არსებობის გამოყენება ისეთ მოულოდნელ პირობებში, მასწავლებელთან ისეთ უშუალო სიახლოვეში, როდესაც ძალიან კარგად, შესაბამისად ამოიკითხება მათი სიბრძავეც და თვალხილულიობაც.

და კიდევ ერთი - ეს სპექტაკლი განაგრძობს ახალ შემოქმედებით ტანდემს: სტურუა - უფლისაშვილი.

დავით უფლისაშვილი - ჰამი... ჰამი - შავ სმოკინგში გამოწყობილი, შავი, მრგვალწარმოიანი სათვალით, შავი ბაფითა და თეთრი ვარდით გულის ჯიბეში...

ჰამი - რომელიც პირობითად შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: მოთხრობილი ამბის გარეგნული ფაბულა, ტრადიციული ესთეტიკისა და პირადი მეხსიერების ირონია.

მსახიობის თამაში თავიდან შეიძლება ერთგვარ ზედაპირულ, სქემურ, უფრო ნასწავლ ცეკვად მოგჩვენოთ, მაგრამ თანდათან, ჯერ მცირედი მინიმუმებით, შემდგომ და შემდგომ, სულ უფრო მკვეთრად იხატება პიროვნულ-ფსიქოლოგიური სახე გმირისა, რომელსაც შეუძლია გულწრფელად ტანჯვა, ადამიანური ემოციების ლიად გამოვლენა...

მისი როლი უმთავრესია როგორც აქტიურულ ანსამბლში, ისე სპექტაკლის მთავარი თემის - ცხოვრებისეული ფასეულობების აღქმისა და შეგნების, გადაფასებისა და დაკარგვის, სამყაროს აღსასრულის სრული შეგნების გზაზე.

გაგრძელება იქნება

# შთაბამონებელი სიგლი პოეზიისა

თამაზ ქვლივიძის ეს შთაბამონებელი წიგნი არსებითად ავტორის აქტიური სიმართლისა და გონიერ განსჯათა თვალსაჩინო ნიმუშია. საგულისხმოა, რომ მისი „ტკბილად მოგალობე“ პოეზია, განწყობილებათა იმ მოდულაციებს ახმოვანებს, ქვეყნის გულწრფელი ჭირისფლის ცნობიერებას რომ „ასდევნებია...“ დრო-ჟამთან მოპაეკრე და ეროვნულ ღირსებათა თაყვანისმცემელი, იგი მშობელი ერის კეთილდღეობის წყურვილითაა „ატანილი...“

საგულისხმოა ისიც, რომ მის მონოლოგებში ჩვენი ეროვნული ყოფიერების მძაფრი გულისცემა იგრძნობა.

მე მასში ვხედავ ქვეყნის გულწრფელ ჭირისუფალს...

იმდენად ანკარა მისი მშობელი ქვეყნის ალორძინების ნაღილი, რომ შეუძლებელია, არ უთანაგრძნო და არ იქცე მის ფიქრთა თანაზიარად.

ეროვნულ ტრადიციათა თაყვანისმცემელი, იგი თავისი ინსტინქტებით, წარმოდგენებითა და ერთობ შთაბამონებელი ლოგიკით გვარწმუნებს საკუთარ სიმართლემი.



წუთისთფლის  
წიგნი

თამაზ ქვლივიძის წიგნი – „წუთისთფლის წიგნი“-ს შექმნა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ მალაზია-თა ქსელში და „მერკურის“ პრესის გავრცელების ჯიხურებში.

რო, უგერგილო და პასიური ხალხი ვერას არგებდა, ვერ შეენოდა.

ავტორი ამ წიგნისა ბუნებრივი, ეროვნული სულიერი წიაღიდან შობილი პოეტი და „სოფლის სამღურავით“ გულდამძიმებული „მთხრობელი“, რომელსაც ღრმად სწამს საკუთარ რწმენადქვეულ ფიქრთა ჭეშმარიტებისა...

სრულიად შთაბამონებელი წიგნი საკმაოდ ვრცლად წარმოდგენილი პოეტური ფრაგმენტები რუსთველური „ლექსადტქმისა...“ აღქმა და ორგანული გაშინაგნება „ვეფხისტყაოსნის“ კლასიკურ გამოვლინებათა ძლევამოსილი ინერციისა და მისგან იმპულსირებული სალექსო ფორმისა თუ აქცენტებისა...

მისი „წუთისთფლის წიგნი“-ს ხიბლი კიდევ იმაშია, რომ იგი ავტორის შინაგანი რწმენის რეალიზაციად შეიმქმნება...

გავიმოვრებ, რომ ეს წიგნი ერთი ვრცელი მონოლოგია სამშობლოს გულწრფელი პატრიოტისა, რომელმაც შეძლო, თავისში დაეკრისტალებინა და შთაბამონებელ „შთაბამონებელ“ ექცია ქვეყნის სოციალური ყოფიერების გაჯანსაღების, ანუ მისი ალორძინების „გზა-ბილიკები...“

და რაც ესოდენ ატანსამაგიამ ამ წიგნში ილორძინა ყოველი ჭეშმარიტი ქართველის სულიერი წინაპრის – წითლი რუსთველის უკიდევანო რეფლექსიათა სემანტიკამ, ანუ ყოფიერების მორალური კატეგორიებით აღქმისა და გაშინაგნების მისეულმა ფილოსოფიამ...

ასეთია ამ მეტად ორიგინალური წიგნის რაღაც შინაგანი მადლი, მისი ავტორის გულის სიღრმედ დაძრული შთაბამონებისა და სამშობლოს თაყვანისცემით გამსჭვალული სულის „ფერადოვანი გამოვლინებანი...“

სულთა გამაკეთილშობილებლად მოვლენილი და ჩვენს „ამღვრულ“ ფიქრთა თუ გრძნობათა წმინდა სათავეებისაკენ მიმბრუნებელი...

ფრიად სასურველია მომავალში სიმრავლე ამ წიგნის მკითხველისა და გულწრფელი განცდა მასში დამკვიდრებული ეროვნული ცნობიერებისა...

გურამ ბენაშვილი

# დაუღებარი

ვინ იცის, ქვეყნად რამდენი საინტერესო ბიოგრაფიის პიროვნება გვყავს, რომელთა ცხოვრებაც სარომანე მასალად გამოადგებოდნენ დიდ მწერლებს. ერთი მათგანია მშრომელი კაცი, ნიჭიერი გამომგონებელი, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე თამაზ ქვლივიძე. სწორედ ასეთ მოქმედ, დაუღებარ ადამიანებს დაეძებდა ილია ჭავჭავაძე. და ამას აკეთებდა მაშინაც კი, როცა აკრიტიკებდა და კმარავდა განდევნილებსა და განდევნილებს, გულგრილებსა და გულგრილობას, რადგან კარგად ესმოდა: დამოუკიდებლობის მაძიებელ ქვეყანას მძინარე, მცონარა, უნი-

სწორედ ის კაცია თამაზ ქვლივიძე, ილიას რომ მოეწონებოდა.

და რა გააკეთა ასეთი? სოფლის მეურნეობაში არაერთი გამოგონება გამოსცადა და დაწერა; დიდი ფულადი ჯილდო ქვეყანას აჩუქა და ჩერნობილის ტრაგედიას ამით გამოუმალურა; ყმანვილკაცობისას გააშენა და 800 წლის რუსთველის უკვდავ სახელს დაუკავშირა 800-ძირიანი ზვარი;

რუსთველს უძღვნა ალალი გულით დაწერილი 800-სტრიქონიანი პოემა.

დაბოლოს, ყოველივე ეს კარგად გამართული გლეხის ურემივით მარჯვე ქართულის გამოყენებით მკითხველს 120-გვერდიანი წიგნით მოუთხრო. ამ ნაშრომს „წუთისთფლის წიგნი“ ჰქვია (2021).

ვფიქრობ, აქ მოთხრობილი საინტერესო ბიოგრაფია ბევრს დაინტერესებს. რაც შეეხება ვაზნარისა და რუსთველის უცნაურ შეწყვილებას, რაც ნაშრომშია ასახული, განსაკუთრებით გაუკვირდება და გააკვირებს უცხოელ მკითხველს, თუკი წიგნი ინგლისურადაც ითარგმნა. ისიც ერთ რამედა ღირს, რომ პოეტის 850 წლისთავს დაუკავშირა ავტორმა 850-სტრიქონიანი პოემა. პოემის სათაურად აჯობებდა: „ვაზისა და 850 წლის რუსთველის გაბაასება“.

გარდა ამისა, თუ წიგნი სხვა საგულისხმო ამბებითაც გაიზრდებოდა და ქართულად მისი ხელმოწერა გამოცემა გადაწყვეტებოდა, არ იქნებოდა ურიგო, იგი სტილისტურ-ენობრივადაც დახვეწილიყო.

მურმან თავდიშვილი

# ნაყოფი თავისუფლება

წინა სადღობელამვილის რომანი „ორსული“ ორზეა, ორისაა, ორს შორის გაყოფილი თავისუფლების არსებობის მცდელობა.

რომანში იხატებიან პიროვნებები, ყოფილი ცხოვრებიდან მოძებნილი ადამიანები თავისუფალი ქმედებით; მიდიან იქ, სადამ უნდათ; აკეთებენ იმას, რაც სიამოვნებას მიანიჭებთ... მაგრამ სინამდვილეში ხომ არავინაა ბოლომდე თავისუფალი დედამიწაზე, რადგან ადამიანთა შორის არსებობს შიში, სიძულვილი, აუხდენელი ოცნება, მოძალებული, შეუსრულებელი სურვილი და, ბოლოს და ბოლოს, სიყვარული...

და კიდევ ერთი – ამბიცია!

კოტე ნიუარაძე ცნობილი ადამიანია, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მყოფი. ხალხს მისი აზრებიდან ასეთი დასკვნა გამოაქვს: „მერე რა, რომ ქვეყანაში ამდენ ადამიანს შია, მერე რა, რომ ამდენი უმუშევარი დახეტიალობს, მერე რა, რომ სულერთია, ამდენი ჭრელაჭრულა საგანმანათლებლო რეფორმით ხვალ რა ენაზე ვიყბუდებთ ან რა აზრებს დავაფრქვევთ, კიდევ საკითხავია. ისიც არაფერი, რომ ამაზე არავინ წუხს და დავობს, მთავარია, დიდი მიზანი გვაქვს, იმ მიზანამდე მისაღწევ გზაზე კი ეს მსხვერპლი ღირს...“

თავისებურ პიროვნებად ხატავს კოტე ნიუარაძეს საკუთარი დედაც, როდესაც ეკა გვიანიძესთან ამოიყრის ჩაღვთილ გულისჯავრს: ჩემს შვილს „ჰყავდა სამი ცოლი და უმრავი ქალი. მას ჰყავს შვილები და ისინიც იშვიათად ნახულობენ მამას. ის ყოველთვის პირველი მიდის ყველგან და ყველაფრისგან, და აქვს საშინელი თვისება – არასდროს მარცხდება. ეს, ზოგადად, ძალიან მტკივნეულია!“

ეკა გვიანიძე ერთდროულად სუსტი და ძლიერი ქალია. სუსტად სწორედ უიმედო სიყვარული აქცევს. სულით ხორცამდე ფინანსად გაგებულს მაინც ვერ აფასებს მისი ტრუიალების საგანი. ერთი ეგაა, რომ ორივე ხვდება, ერთიანი სიზმრები, ფიქრები, აზრები და შეგრძნებები მისტიკაა, უჩვეულობაა, მხოლოდ სიტყვებში აღიარებული.

მიუნდომელ განცდათა შორის კვდება რომანში დედობის ნდობაც.

სწორედ ესაა ჩანაფიქრის „საიდუმლოც“ – დედობა მარტო ნდობა არ არის...

მაინც, როგორი შეიძლება იყო, როცა გიყვარს; რა შეიძლება აკეთო, როცა შეყვარებული ხარ; საით მიდის ეს გამორჩეული გრძნობა: შეძენილი გულთამბილაგობის სინათლისკენ, თუ სიამის განცდათა სიბნელისკენ?

წესით, ადამიანმა ორივე უნდა აღიაროს, მაგრამ რომანის მთავარი პერსონაჟი თითქოს მხოლოდ სინათლისკენ სწრაფვას ცდილობს, რათა სიყვარული არ შებღალის მინიერების შეგრძნების აღიარებამ...

ვინ როდის კარგავს და ფანტავს ღვთიებობებულ წყალობას, თავადვე უნდა იგრძნოს და უკარნახოს გუმანმა. იქნებ, მთა იყო მეტი სიკეთე; იქნებ, მირიანი იყო ნამდვილი სიყვარულის გამოსაცხდელი წყალობა ეკასთვის... მთის შვილი და ძირი, წინასწარ რომ

განესაზღვრა სიცოცხლის დასასრულის სილამაზე, ერთგულემა, საიქიოს შეხვედრის პირნათელობას ახლავს რომ იპირებოდა...

ეს თავად ეკას გადასანწყვეტი იყო და აკი გადაწყვიტა კიდევ – სხვა მიყვარსო, უზარმაზარი ნერტილით დაასრულა.

მერე კი, როცა კოტესთან აღიარებს, როგორ მოსწონს, როცა უსმენს, როგორ მოსწონს მისი სიტყვების ლაგება რადიოში, ტელევიზიაში, როგორ წარმოიდგენს ამ დროს კოტეს მტკიცელების სამშობლოს... მას, სიზმრებჩახუტებულ ქალს, ვინ იცის, ამბიციის მერამდენე საფეხურზე ატორტმანებული კაცი პასუხობს: არა, ლაპარაკისთვის არ გაჩენილივარ, დიდი მიზნები მაქვსო...

რამდენი სასიყვარულო წერილი მოუნელებია დროს, ჩაუნთქამს „ლეთეს“-დავინყვების მითოლოგიურ მდინარეს...

ამ რომანის ბარათში შეყვარებული ქალის უხმო ძახილია.

სწორედ წერილშია კვანძი სიუჟეტისა, ზოგადადამიანურ თუ ეროვნულ-ისტორიულ მოვლენებისა. ამ წვევა-ძახილის შემდეგ წარმოდგენილი შეხვედრა ვაშლის ხის ქვეშ მიყუთული ინტიმით გრძელდება: „კარსანში უამრავი ვაშლის ხეა და, მჯდარხარ დიდხანს, დიდხანს ვაშლის ხის ქვეშ და გინერია? გიფიქრია? მას სულ სხვანაირი ჩრდილი აქვს, ბავშვობისდროინდელი საბანეოთა – თითქოს ბოლომდე არ გწვდება, ან ფეხი გრჩება მზეში, ან შუბლი... მაინც არაფერია მასზე ტკბილი და მაგრილებელი, ზიხარ, ვაშლის მყუდრო სუნი გცემს, ბუზების ფათიფუთიც გესმის და ერთი თვალის განვდენაზე ქართლი ისე გემულება წინ, თითქოს შენ სანახავად მოსული დედაშენი იყოს, უხვ და გრძელმკლავებიანი...“

იქნებ, სწორედ ესაა რომანის მთავარი მორალი: მატერიალური საგნის ფასად სულს ვერ შემოსავ...

ამიტომაც ფინალი ბუნებრივია! მძიმე სრესს მსუბუქს! თუმცა მინაზე!

„...პლატონს თავის „გორგიაში“ (492ე) მოაქვს ციტატა ევრიპიდეს დაკარგული ტრაგედიიდან „პოლიდე“ (ფრაგმ. 638): „ვინ იცის, იქნებ, სიკვდილია სიცოცხლე ჩვენი, ხოლო სიცოცხლე არის სიკვდილი?“

ამ სიტყვებს დიალოგში წარმოთქვამს სოკრატე და იქვე (493ა) დასძენს: „იქნებ ჩვენ მართლაც მკვდრები ვართ? ღმერთმანი, ერთი ბრძენკაცისაგან გამოგონია, რომ ჩვენ ამჟამად მკვდრები ვართ და სხეულია ჩვენი საფლავი“. იქნებ! იქნებ, მართლაც აქ ვართ სიკვდილისსაჯილი და დავატარებთ უკანასკნელ წუთამდე ცოცხლად ასხმას...

პოსტმოდერნული მიმართულება ერთგვარი სიამით შეერწყა ქართულ ლიტერატურას. წინიც ამ ეპოქის შვილია. მისი გონიბიდან ნაშობი ლიტერატურა ელემენტთა მრავალფეროვნებასაც გვიჩვენებს, ქაოსსაც, ფილოსოფიურ პოზიცია-საზოგადოებასაც, ცხოვრებისეული „კარნავალის“ ნიღბების მორგების დროსაც, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც განსხვავებული, განყენებული სტილი აქვს.

წინის ნაწერი თავისებური – აზრი აზრს კი არ მიჰყვება, იღვრება. წინადადებები წანწკარა წყაროსავით მირაკრაკებენ და გრძნობ, მათი უკვე გააზრებული მნიშვნელობა როგორ ჩაქდინება გულში სითბოდ, ტკივილად, განსხვავებულ ემოციად.

ეკა ფხალაძე

# ზაალ ებანოიძე

## თავმოსწონი ქართული

შოთა ზოიძის ხსოვნას

გამორჩეული სონეტი სიტყვაში სიტყვის ჩასმა, ნილნაყარია ყოველთვის ნაღი პოეტის წვასთან.

თეთრი თმა. სახე – ნათელი. ტანზე სამოსი თეთრი, თავმოსანონი ქართველი – მართლა ნამდვილი დენდი.

აჭარის მთებზე ნისლემა აიფელიკა თავი, ლექსია შენი ღირსება, შენი ბრძოლაც და ზავიც.

ხმოვანს რო დაიმარტოვებს და ნრეში აქცევს სიტყვას, სმენაში სხვა ხმას ჩატოვებს ამ დროს ნაპოვნი რითმა.

თვალდასადგამი მიგნება, დისონანსები, ხიბლი... დამძიმებულა ფიქრებით ტექსტი გარეთ და შიგნით.

შიგნიდან მიშერს ოთოლთა – კლდე, ამოზრდილი ციხედ – და შემოდგომის ფოთოლი ბებერ სანუხარს მიმხელს.

შენ შენი გქონდა ხმა-ტონი, შენი „ნაღმი“ და „დენტი“, ფაქიზი სმენის პატრონი წერდი, რა კარგად წერდი.

ბათუმის ქუჩებს დაყვები და უშენობას ვგლოვობ – მინდა, ტკივილის გამხელით ცოტა ნუგეში ვპოვო.

ძმა მყავდი ფიც-ვერცხლნაჭამი, ძმაზეც უფრო მეტი, რა დღე, რა წუთი, რა ნამი – უერთმანეთოდ ჩვენთვის.

ამ დღემაც ჩაიდაისა. შუქად დააღწა ქედებს, ნიავე ტირის თავისას ქარის კვილის შემდეგ.

მიმიძღვის შენი ხატება და გულნატკენი მივალ, ცრემლს ცრემლი მიემატება – ღანზე გადგება მძივად.

ქათქათა ქალაქ უმღერის მართლა ქათქათა ქარი, სიზმარში გნახე ნუხელის – შუქი გემოსა მთვარის.

ხარობდი ჩემი დანახვით – წუთის აღდგენას ვცდილობ – შუბლზე გეფინა ბალახი, როგორც ძმრიანი ტილო.

თეთრი თმა. სახე – ნათელი. ტანზე სამოსი თეთრი, თავმოსანონი ქართველი – მართლა ნამდვილი დენდი.



ორი დონ-კიხოტი

2007 წლის 10 აგვისტოს ორი ათეული რედაქცია ჟურნალისტური ოფლით აშენებული „სამშობლოს“ შენობიდან რომ ქუჩაში გამოგვყარეს, მომთაბარე ცხოვრება დაიწყო – ხან სად ვეკრაობდით ბინას, ხან სად სწორედ მაშინ აღმოჩნდით მარტოს ქუჩის იმ შენობაში, სადაც ჩვენი სახელგანთქნილი და ხალხის საყვარელი კახი კავსაძე ცხოვრობდა, რომელიც უკვე არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ევროპაშიც ცნობილი იყო, როგორც რეზო ჩხეიძის ფილმში გაცოცხლებული დონ-კიხოტი. ერთხელ ეზოში კახი სტუმართან ერთად იყო. თავისთან საგანგებოდ ჩამოსული ცნობილი რუსი მსახიობი და ნიჭიერი მწერალი, საერთოდ იშვიათი შემოქმედებითი პიროვნება ვასილი ლივანოვი, რომელსაც მაყურებელი პატივს სცემდა როგორც „ბრმა მუსიკოსს“, კონან დოილის ჰოლმსს და, რაც მთავარია, სერვანტესის „დონ-კიხოტს“.

ლივანოვის თბილისში სტუმრობის მთავარი მიზანი რუსი „დონ-კიხოტის“ შეხვედრა იყო „ქართველ დონ-კიხოტთან“.

ბუნებრივია, კახიმ გაგვაცნო სტუმარი, რომელსაც ლაპარაკში შევყვით უკვე მასპინძლის ბინაში. ჩვენ, რასაკვირველია, ეს შემთხვევა ხელიდან არ გავუშვით, მაგნიტოფონი მოვიმარჯვეთ და სიტყვა ჩამოვუგდეთ ჯერ „ქართველ დონ-კიხოტზე“, მერე რუს „ხოლმსსა“ და „მწუხარე სახის რაინდზე“. ლივანოვმა ფრიად მალაღი ნიშანი დაუწერა კახის დონ-კიხოტს და კიკაღიშვილის სანჩო პანსას. ქართველი დონ-კიხოტიც და სანჩო პანსაც სწორედ ისეთები არიან, როგორცაა მე მესმის ამ გმირთა სახეები და არა ისეთი ტრადიციული, როგორც რატომღაც მიღებულია.

რაც შეეხება რუსული ფილმების შეფასებას, ლივანოვმა, ლაპარაკით თავი რომ არ შეგანყინოთ, თავისი ერთი ძველი ინტერვიუ გადმოგვცა – რაც აქ მაქვს ნათქვამი, ამაზე მეტს მაინც ვერ ვიტყვი და ეს გამოიყენეთო.

ამ ლაპარაკში მალე რეზო ჩხეიძეც შემოგვესწრო. მგონი, კახიმ დაურეკა.

მას მერე კარგა ხანი გავიდა და, მართალი რომ ვთქვა, ეს ამბავი ვიგულმავინყე, ხოლო ამას წინათ ინტერნეტში ერთხელ კიდევ რომ ვუყურე რეზო ჩხეიძის „დონ-კიხოტს“, ჩემდა უნებურად ლივანოვის ინტერვიუ წამომაგონდა, მომეჩვენა, რომ ბევრ ღირებულ რასმე ლაპარაკობს სერვანტესის ნიგნზე, რისი გაცნობაც ქართველი მკითხველისთვის ურიგო არ იქნება. მით უმეტეს, რომ რუსი დონ-კიხოტი და ხოლმისი ახლებურად, თავისებურად, ლივანოვისებურად ხსნის ამ ფრიად და ფრიად ცნობილ, როგორც ხოლმისს, ისე სერვანტესის ტექსტების დედაარსს.

ინტერვიუს პირველი კითხვის პასუხად ლივანოვი ამბობს:

– ჩვენს პროფესიაზე სისულელების შეთხზვა უყვართ. ამბობენ, მსახიობობა დამოკიდებული პროფესიაა. არ არის სწორი – ასე თუ ვიმჯღელებთ, ყველა პროფესია დამოკიდებულია. სანტექნიკოსიც კი დამოკიდებულია თავის უფროსზე. მსახიობი არ არის დამოკიდებული რეჟისორზე, მარინეტი ხომ არ არის, თოჯინა. მსახიობს თავისი აზრი აქვს იმ როლზე, რომელიც მიანდეს. აქ საქმე რეჟისორზე დამოკიდებულება კი არ არის, არამედ იმასთან თანამოაზრობა. თუკი ეს არის, გამოდის შემოქმედებითი თავ

ნამეგობრობა, ხოლო თუ არ არის, მაშინ მსახიობი ან მიდის სურათიდან, ან ისე თამაშობს, როგორც თავად მიაჩნია საჭიროდ. რეჟისორ მასლენიკოვს როგორღაც წამოსცდა: კონან დოილი ფრიად საშუალო მწერალია, ხოლმისსა და ვატსონის ამბავი კომედიიაო. მე და ჩემს პარტნიორს რეჟისორისთვის რომ დაგვეჯერებინა, ფილმი აუცილებლად ჩავარდებოდა.

– ალბათ, ნარმატება არ ექნებოდა!

„ზინა ხარ, მგზავრო.“



– დიას, ეგრე იქნებოდა. იმის მერე, რაც რეჟისორთან აშკარა კონფლიქტი მომიხდა შემოქმედებითი მიზეზების გამო და არა იმიტომ, რაზეც იმას ლაპარაკი უყვარს, შემდეგ მან ერთი ასეთი ფორმულა მოიგონა: თქვენ გამოიცანით რეჟისორის ფარული ჩანაფიქრიო. კონან დოილი, ცხადია, შექსპირი არ არის, არც იმათი ნიჭიერების შედარება შეიძლებაო. არადა, მან ისეთი სახეები შექმნა, უკვე ასი წელიწადი რომ ცოცხლობენ და კიდევ არაერთი საუკუნე იცოცხლებენო.

– ისინი ადამიანთ აიშედებენ.

– გადაღების წინ ვკითხეთ რეჟისორს, რად გინდა, რომ ახალ კონან დოილს იღებ, სულ ცოტა ათობით ეკრანიზაციაო.

– ის კი არა, რუსეთშიც გადაიღეს „ცისფერი ლალიც“.

– იყო კიდევ „ბასკერვილების ძალი“, რომელიც დაინყებულა დამსახურებულად. რეჟისორმა არ იცოდა, რა უნდა ეპასუხა. რაღაც „ინგლისურობაზე“ დაიწყო ლაპარაკი და მერეც ხშირად მიმართავდა ამ ტერმინს, თუმცაღა, არსებითად, ეს ტერმინი არცრას არ ხსნის. მე და ჩემმა პარტნიორმა გადავწყვიტეთ გაჭირვებაში ჩავადრინილი ხალხის დახმარება.

– თქვენი აზრით, მაგასი უნდა ვეძიოთ ფილმის პოპულარობის მიზეზი?

– არა მხოლოდ. კონან დოილის ყოველ ეკრანიზაციას ერთი ნაკლი აქვს: წინ გამოდის დეტექტიური სიუჟეტი, მსახიობები ამ სიუჟეტს მხოლოდ ემსახურებიან. ჩვენთვის მთავარი იყო პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულება – ხოლმისსა ვატსონთან და ამ ორისა სუყოველ დანარჩენთან. რატომ არ განსხვავდებიან ამჟამად დეტექტიური სერილები ერთმანეთისგან? მათში მხოლოდ ინტრიგაღაა დარჩენილი და არ არის ცოცხალი სახეები. მაყურებელს არ უნდება გმირების გაცნობის სურვილი. არა მსახიობებისა, არამედ იმათი პერსონაჟებისა. ტყუილად კი არ ნერდა ინგლისური პრესა, რომ ჩვენმა ფილმებმა დაუბრუნეს ინგლისელთა თავიანთი ეროვნული გმირები. მე ბედნიერი

ვარ ჯილდოთი, რომელიც თვით დედოფალმა მიბოძა; ბედნიერი ვარ, რადგან ეს ორდენი რუსული სამსახიობო სკოლის საერთაშორისო აღიარების ფაქტია. კინოს არაინგლისელ მსახიობთაგან ბრიტანეთის ორდენის კავალერი მხოლოდ სამნი ვართ – ლიზ ტელიორი, სპილბერგი და თქვენი მონა-მორჩილი.

– ორდენი თავდაპირველად სამხედროებისთვის დანესდა, არა?

– კი, ოღონდ მერმე გადაწყვიტეს, რომ კულტურის მოღვაწეთ

სამხედროებზე არანაკლები შეუძლიათ იმპერიის აყვავებისთვის. ორდენის დევიზიც აქი ასე უღერს: „ღმერთისა და იმპერიისთვის“. ბრიტანელი ისე უფრთხილდებიან თავიანთ ეროვნულ ტრადიციებს, რომ იმათგან უნდა ვსწავლობდეთ. სულ არ ანაღვლებთ, რას ლაპარაკობენ იმათზე, ტრადიციები წმიდათნმიდაა და ხელმეუხებელი, რამეთუ ისინი ადულაბებენ ერს.

– ჩვენი თვალსაზრისით, პოლმისი და ვატსონი ნამდვილი მამაკაცური მეგობრობის მაგალითია.

– სხვანაირად არც შეიძლებაო. მე და ჩემი პარტნიორი ცხოვრებაშიც მეგობრები ვართ. მეგობრები არიან ჩვენი შვილებიც და ცოლებიც. მეგობრობის თამაში შეუძლებელია. ობიექტივი ობიექტურიაო, ამბობდა ჩემი მასწავლებელი, კინოპერატორი სერგეი ურუსევსკი. შეიძლება სიყვარულის თამაში, მაგრამ მეგობრობისა არ გამოვა. შექსპირის სონეტებში სიყვარულზე მალა მეგობრობას აყენებს, ვინაიდან სიყვარული იქნებ უპასუხოც იყვეს, მეგობრობა კი არა. მეგობრობა შეუძლებელია, თუ არა ღრმა ურთიერთგაგება, მსოფლმხედველობათა დამთხვევა, გარემომცველი სამყაროს აღქმის მსგავსება, საერთო ზნეობრივ ფასეულობათა აღიარება. ეს ნდობა და ურთიერთდახმარებაა.

– რას იგებს და რას კარგავს ლიტერატურული ნაწარმოები ეკრანზე გადატანისას?

– არცრას არ კარგავს, უკეთეს შემსრულებელი მწერლის თანავეტორი ხდება.

– ხუმრობა არ არის თანავეტორობა, ვთქვათ, სერვანტესისა.

– კი, სახუმარო საქმე არ არის. კლასიკის თამაში არ შეიძლება პრინციპით „მე ასე ვხედავ“. კითხვასხვაობა და ვარიანტები არ უნდა იყვეს.

ხოლმსზე გადაღებული გაი რიჩის ფილმი საშინელია. არცრა დამოკიდებულება კონან დოილთან არა აქვს. შეუძლებელია მსოფლიო სახელის მქონე ავტორის დამახინჯება. სულ იმათზე ვფიქრობ, ვინც გოგოლს ამახინჯებს.

– გოგოლი თქვენი სიყვარული მწერალია?

– „მკვდარი სულები“ ჩემი სამაგიდო ნიგნია, სულ ზეპირად ვიცი.

– გოგოლის გარდა?


– ჩეხოვი, ბულგაკოვი, რომელიც მამაჩემთან მეგობრობდა. ინგლისელთაგან ყველაზე მეტად დიკენსი მიყვარს. ბავშვობაში „დევიდ კოპერფილდს“ პირდაპირ ვყლაპავდი.

– ჩესტერტონთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

– დიდი პატივისცემით. საოცარი აზრები აქვს, მაგალითად: „ძალიან ყურადღებიანები უნდა ვიყვნეთ მშობლების არჩევნისას“. როგორია?! იყო დრო, როცა ჰემინგუეით ვიყავი

„მე ბოლო ინსტანტის ქვეყანაში ვარ“. ისინი დიარებენ ევროპაში ვითარცა ანტიკომუნისტები. შენ ან აღიარებ დულსინეას, ან მორჩა შენი საქმე. შეადარეთ: ან იღებ კომუნისტს, ან არადა, სოლოვი გელოდება. სანჩო მალევე მიხვდა, რომ ძალაუფლებისთვის არ ვარგოდა, დონ-კიხოტი კი ისევე დაბნეული დარჩა. სერვანტესს ყველაფერი უწერია. საჭიროა მხოლოდ გულისყურით წაკითხვა. ის კი არა, დონ-კიხოტი მახვილგონიერად თუ ვირეშმაკად სახელდება ხოლო სახელწოდებაშივე. მაგრამ ეს ხომ ირონიაა! ხალხის ქომავის ვირეშმაკობა სად გაგონილა. ენ-

საით მიდიხარ?



გატაცებული. ერთმა ჩემმა მეგობარმა ჩვენს თაობას „შემინგუეით შეძრული“ თაობა უწოდა. ახლახან დისკზე ჩავწერე „მოხუცი და ზღა“.

– თუ „დონ კიხოტს“ ავიღებდით, საჭიროა ნაწილობრივ დონ-კიხოტად ყოფნა. თქვენში ეს არის?

– რასაკვირველია. ადამიანში ბევრი რამ ისეთია, რასაც გამოჩენა უნდა. გმირს კი არ უნდა მოერგო, არამედ შენ თვითონ უნდა შეძერე იმის ტყავში. ფილმი „დონ-კიხოტი“ ჩემი დეკლარაცია იყო. მე იმაზე არაერთ წელიწადს ვფიქრობდი, დონ-კიხოტის ყალბი განმარტება XVIII საუკუნეში მოიგონეს ფრანგმა ენციკლოპედისტებმა. და იმის მერე არსებობს ეს კლიშე, რასაც არცრა საერთო არა აქვს რა იმასთან, რისი თქმაც სერვანტესს უნდა და თავის რომანში. ენციკლოპედისტები დონ-კიხოტში ხედავდნენ უშიშარ და უსაყვედურო რაინდს, ხალხის ქომავს, ხოლო სანჩოც ის კაცი იყო, ხალხიდან გამოსული, რომელმაც მმართველად გახდომა მოახერხა.

– თქვენი აზრით, რომანი მაგაზე არ არის?

– სრულიადაც არ არის მაგაზე. დონ-კიხოტი არცრა რაინდია. ის იდაღგაო (ეს კი ერთი და იგივე არ არის), რომელიც ნადირობდა კურდღლებზე და კითხულობდა რაინდულ რომანებს, რომელთაც მერმე მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელიც გაიტაცეს. დონ კიხოტმა იმდენი იკითხა ის რომანები, რომ გადაწყვიტა, მარტო მე ვიცი, როგორ უნდა მოეწყოს ნუთისოფელიო. ჩვენ ვიცით ასეთი დონ-კიხოტები – ლენინი, ჩე გევარა. მხატვარ კორჟევეს აქვს ლენინისსახიანი დონ კიხოტის პორტრეტი. სანჩო კი ხალხის შვილია, გლეხია, რომელიც შეპყრობილია გუბერნატორად გახდომის ფინით, ანუ თანამდებობისა და ძალაუფლების ფინით. ისინი, დონ კიხოტიც და სანჩოც, უზომო სიამაყის განსახიერებაა –

ციკლოპედისტებს სჭირდებოდათ იდეალური სახე, იმათ ღმერთი არა სწამდათ, საჭირო იყო თუნდაც შემცველი რამ.

– ფილმს რატომ ეწოდება „დონ-კიხოტის დაბრუნება“?

– იმიტომ, რომ ის დროდადრო ბრუნდება სუყოველ ჩვენგანში. ტელეჟურნალისტებს უყვართ შეკითხვა ჩამველელ-გამველელისთვის – რას იზამდით, ქვეყნის პრეზიდენტი რომ გამხდარიყავითო. ისინიც ინყებენ თავიანთი აზრების გადმოფრქვევას: გადასახადებს შევამცირებდითო, არმიას დავშლიდითო, რა ვიცი, ათას რასმე ამბობენ. იმას კი არცვინ არ ამბობს, მე რა საპრეზიდენტო კაცი ვარო. დროდადრო სუყოველ ჩვენგანს გვეჩვენება, რომ ჩვენ ვიცით, როგორ უნდა ვმართოთ ქვეყანა. აი, დიასაც, ეს დონ-კიხოტობა აქვს სერვანტესს კიდევ უფროვე ღრმად. დონ-კიხოტი ერევა ცხოვრების ცოცხალ დინებაში, ის ადამიანებს ხელს უშლის ცხოვრებაში. ამიტომაც მიბერტყავენ ხოლმე.

ხელოვნების უპირველესი მოვალეობაა, იდეები მიჰქონდეს ადამიანთათვის. უამისოდ ხელოვნების არსებობას აზრი არა აქვს.

– საიდან იღებთ ამ იმედს? როგორ ახერხებთ ზოგთაგან ზურგში დარტყმას?

– მე კაზაკური ხასიათისა ვარ, ტანკს ტალახის შიში არა აქვს. თანაც ზურგი მაგარი მაქვს.

– როგორც ვიცი, ოჯახი თქვენთვის უმაღლესი ფასეულობაა ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ბევრის აზრით, უკეთეს შემთხვევაში, ოჯახი სავალდებულო არ არის...

– ეგრეთი ადამიანები მხოლოდ მეცოდებიან – ვისაც თავისი ოჯახი არ უყვარს, იმას სამშობლო არა აქვს.

მომაზნადა გურამ გოგიაშვილა

►► დასასრული იქნება

გერმანული მითებით შთაბოძებული 10 გაპოკრეული რომანი

სუზან სტოუს-რეპინი



ბერძნულ მითებზე საუბრისას, პირველ რიგში, გვახსენდება შურისმაძიებელი ლმურთები, ლეგენდარული გმირები, თავებურდამხვევი სასიყვარულო ურთიერთობები და მზაკურული ქმედებები. ამ ამბებს ერთგვარი გარდაქმნის უნარი აქვთ და კარგად ერგებიან ადამიანური გამოცდილების უამრავ შემთხვევას. ამდენად, ვასაკვირი არცაა, რომ ბერძნული მითები მწერლებისათვის ხშირად გამხდარა შთაბოძების წყარო.

დანტე და პეტრარკა ერთობ მოხიბლული იყვნენ ბერძნული მითოლოგიით, იგივე ითქმის ჩოსერსა და მილტონზეც. მერი უელიმ ჩინებულად მორავი პრემეთეს თემა თავის „ფრანკენშტაინს“, კ. ს. ლუისი კი 1956 წელს გამოქვეყნებულ რომანში „სანამ სახეები გვაქვს“, პირდაპირ დაეყრდნო ოვიდიუსის „მეტამორფოზებს“. ბოლო წლებში მითოლოგიური ნარატივის „გადამღერება“ მეტად აქტუალურია. ეს განსაკუთრებით ეხება ქალის როლის წინა პლანზე წამოწევის საკითხს – მადელინ მილერის „კირკე“ 2018 წელს გამოქვეყნდა; 2021 წელს მკითხველმა იხილა ისეთი სადებიუტო ნაწარმოებები, როგორებიცაა კლერ შეიფიდის „სპარტის ქალიშვილები“ და როზი პიულეტის „მედუზა“; ჯენიფერ სეინტის „ელექტრა“ კი, რომლის ხილვასაც მკითხველი განსაკუთრებით ელის, დღის სინათლე წელს, მოგვიანებით იხილავს. თუმცა მითებისათვის ხელახალი სიცოცხლის შთაბერვა სხვადასხვა ფორმისა და იერსახის მინიჭებას გულისხმობს. ჩემს სადებიუტო რომან „პანდორაში“ ქალური ძალისა და ადამიანური ბუნების სირთულეების წარმოჩენა მსურდა, პანდორას ყუთის მითზე დაყრდნობით კი გეორგიანული ეპოქის დიდებულ ნარმოვანზე, ჩემ მიერ არჩეული ნაწარმოებები ბერძნული მითების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, მაგრამ თითოეული მათგანი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ როგორ ღრმად არის გამჯდარი ჩვენს ცნობიერებაში ეს უძველესი ამბები.

კოლა ტრიბინის „სახალაის სახლი“



ეს ჩახლართული სიუჟეტის მქონე რომანი მრავალი ბერძნული მითის ქარგაზეა

ენ კარსონის „ნითლის ავტობიოგრაფია“



ლექსად დანერვილ შთაბეჭდავ რომანში ბუმბერაზი გერიონი (რომელიც კარგად გვახსოვს

ჯენიფერ სეინტის „არიადნე“



არიადნეს, კრეტის მეფე მინოსის ასულის ეს ამბავი თეზევსისა და მინოტავრის მითის ახლებურ ვერსიას გვთავაზობს. ნაწარმოები მეტად საინტერესოა, მით უფრო, რომ გარდა მხოლოდ ჩვენთვის ნაცნობი შემთხვევისა, არიადნეს მთელი ცხოვრება გვეშლება თვალწინ. მეტიც,

რიკოზი ოპიომას „უმცირესობათა ორკესტრი“



„ოდისეას“ კიდევ ერთი ინტერპრეტაცია. ობიომას, ნაცვლად ძველი საბერძნეთისა, სიუჟეტს ნიკერიოს ქალაქ უმბუჰაში ავითარებს. ნაწარმოების მთავარი

აგებული, ძირითადად კი ეს-ქილეს „ორესტეას“ ეყრდნობა. იგი იმეორებს აგამემნონისა და კლიტემნესტრას ამბავს, რომელიც მათი 16 წლის ქალიშვილის, იფიგენიას საზარელი მსხვერპლშენივით იწყება. ვენებათაღლევიტ ალსავსე, ღრმად ადამიანური მომენტები განსაკუთრებული ძალადობითა და სისასტიკით გამოირჩევა, თუმცა ტრიბინი თანაუგრძნობს და უფრო მეტ სიღრმეს სძენს პერსონაჟებს, ამასთან ერთად, ნიუანსურად იკვლევს ბრახის, შიშის, სიძულვილისა და დანაშაულის ცნებებს.

პერაკლეს მეთავე გმირობიდან) თანამედროვე სამყაროში გადმოინაცვლებს. ნაწარმოები ეფუძნება ლირიკოსი პოეტის, სტესიქორუსის „გერიონიდას“ ჩვენამდე ფრამენტების სახით მოღწეულ ტექსტს. ეს არის ამბავი, რომელიც ამაღლებულად მიჰყვება მოზარდობიდან ზრდასრულობამდე გზას, სიყვარულისა და ლტოლვის უცნაურ და ნაღვლიან შეგრძნებებს. ავტორი შესანიშნავად წარმოგვცხადებს მთავარი პერსონაჟის სახეს, რომელიც ღვთაებრივი გმირის ჩრდილქვეშ ექცევა და საბოლოოდ ხდება კიდევ მისი მსხვერპლი.

თითქოს მკითხველს თვალსაწიერი მეტად უფართოვდება, ვინაიდან არა მხოლოდ ამ ტურფა ასულის საგულისხმო ამბავს ვეცნობით, არამედ სხვა ქალი პერსონაჟების – მედუზას, სემელეს, პასიფაეს, ფედრას ისტორიებს. კაცთა სახეებიც რელიგიურადაა გამოკვეთილი, რაც საშუალებას გვაძლევს, უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ მათი ამა თუ იმ ქმედების გამომწვევ მიზეზებს, მათ თვითნებობას. არიადნესა და დიონისეს ურთიერთობა არაჩვეულებრივად დახატული, თეზევსის პერსონაჟი კი განსხვავებულად და ახლებურადაა წარმოდგენილი, თუ გავითვალისწინებთ მითის ადრინდელ, შეიძლება ითქვას, ქალთმობულე პათოსს. ერთი სიტყვით, „არიადნე“ საუცხოო და სრულიად დამაინტერესებელი რომანია.

პერსონაჟი ახალგაზრდა ჩინონსოა, რომელსაც თავი ძლივს გააქვს მეფრინველეობის ფერმაში დაუღალავი შრომით. ერთხელაც იგი დაინახავს, რომ უცნობი ქალი ხიდიდან გადახტომას აპირებს, რათა თავი მოიკლას. სწორედ ეს მომენტი თავდაყირა აყენებს მთელ მის ცხოვრებას და დროთა განმავლობაში ისიც უფრო მეტად გრძნობს და აცნობიერებს ილუზიების მსხვერვისას. ნაწარმოების მთხრობელია ჩინონსოს „ჩი“ (იგბოს კოსმოლოგიაში მფარველი სული), რაც ობიომას რომანს ცალსახად გამოარჩევს. ეს არის დამაფიქრებელი და ღრმად გასააზრებელი ნიჭი, რომელიც ეხება სიყვარულისა და თავდადების, დაუცველობისა და მარცხის, ბედისწერის წარმმართველი ძალის თემებს.

პეტ პარკერის „გოგონათა ღუფილი“



კრიტიკულად აღიარებული რომანი ჰომეროსის „ილიადას“ განსხვავებულ მხარეს გვანახავს. მკითხველი ეცნობა ტროელი ქალწულის, ბრისეისის, განცდებს, რომელიც შეიპყრეს და ძალადტანებით დასვეს აქილევსის ხარჭად. ეს არის ძლიერი, შთაბეჭდავი ამბავი გადარჩენასა და გამძლეობაზე, რომელიც არ უფრთხის, გადმოსცეს ომის საშინელება და დამპყრობელთა მიერ ქალების მიმართ გამოჩენილი სისასტიკე. ნიგში ბევრი სულისშემძვრელი მომენტი – ბავშვთა მკვლელობა, ჯგუფური გაუპატიურება, თვითმკვლელობა. ერთი სიტყვით, ნაწარმოები რეალისტურად აღწერს ადამიანის უღმობლობას და შეუძლებელიცაა, ამან ემოციური გავლენა არ მოახდინოს მკითხველზე.

ალი სითის „გოგონა ხვდავა ბიჭს“



იფისისა და იანთეს მითს ბედნიერი დასასრული აქვს, რაც ასე იშვიათადაა დამახასიათებელი ბერძნული მითოლოგიისათვის. ეს ამბავი ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“ გვხვდება, რომელსაც ამგვარი შინაარსი აქვს: მამის რისხვის თავიდან ასაცილებლად გოგონას ბიჭვით ზრდიან, მას კი ერთხელაც სხვა გოგონა უყვარდება. მოგვიანებით ქალმკვრითი ისი იფისს სქესს უცვლის, რათა ნყვილმა დაქორწინება შეძლოს. სითის ამ ისტორიის თანამედროვე ვერსიის მთავარი პერსონაჟები, ანთეა და რობინი, ავგრნესში ცხოვრობენ, ნაწარმოები კი ეხება ისეთ თემებს, როგორებიცაა სქესი, ტრანსფორმაცია და საკუთარი თავის მიმღებლობა. „გოგონა ხვდავა ბიჭს“ პატარა, მხოლოდ 176 გვერდისაგან შემდგარი ნიჭია, მაგრამ საკმაოდ საღისიანი, სასიამოვნო, თავშესაქცევი და ამაღლებული განწყობისაა

ნატალი ჰეინის „ათასი ხომალდი“



რადიონამყვანი და ელინისტი ნატალი ჰეინი ბრწყინვალედ მოგვითხრობს ტროას

სარვათ ჰასინის „გიგანტური სიზნაუ“



ჰასინის რომანი შთაგონებულია ორფეოსისა და ევრიდიკეს მითით და, თავის მხრივ, რამდენიმე უანრს

ალექს მიქაელიდის „ქალწულები“



ამ ლიტერატურულ თრილერში, რომლის სიუჟეტი კემბრიჯის უნივერსიტეტში ვითარდება, ბერძნულ მითოლოგიასთან ერთად „ბნელი აკადემიის“ ესთეტიკა გამოყენებული. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია მარიანა ანდროსი, რომელიც თავის ალმა-მატერში მას შემდეგ ბრუნდება, რაც დისშვილის მეგობარს კლავენ. მარიანა ექვობს, რომ მკვლელობაზე პასუხისმგებელი შესაძლოა იყოს ქარიზმატული კლასიკური ლიტერატურის პროფესორი ედვარდ ფოსკა, გოგონას სიკვდილი კი უკავშირდებოდა სტუდენტის გოგონების საიდუმლო საზოგადოებას, რომელიც „ქალწულების“ სახელითაა ცნობილი. „ქალწულების“ სახელწოდება, თავის მხრივ, სიკვდილის ქალმკვრთ პერსეფონეს უკავშირდება. ამბავი ნამდვილად ჩახლართულია, ხშირად მკითხველისთვის დამაბნეველი, ყურადღების გადამტანი ხრიკებითა და კვალის ამრევი მანევრებით. ასევე უნდა ითქვას, რომ რომანი ჯეროვან პატივს მიაგებს ბერძნულ ტრადიციას.

ჯიიზ ჯოისის „ულისა“



„ოდისეას“, ჰომეროსის ეპიკური პოემის, თემატურ-სტრუქტურული მხარე ირლანდიელმა ავტორმა ჩინებულად მოარგო 1900-იანი წლების დუბლინს. ნაწარმოები ნუთობრივი სიზუსტით

ომის მოვლენების შესახებ, თუმცა, მხოლოდ და მხოლოდ ქალთა გადმოსახიდიდან. იგი თმის კალიდოსკოპურ სურათს გვიხატავს და წარმოგვიდგენს მკითხველისთვის უკვე კარგად ნაცნობ ქალებს ჰომეროსის პოემებიდან. მთხრობელი კალიოპა – ეპიკური პოეზიის მუზა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. ავტორი „ილიადას“ სრულიად ახლებურად, განსაკუთრებული მახვილვინიერებით უდგება, რაც თავისებურ განწყობას სძენს კითხვის პროცესს.

აერთიანებს. ნაწარმოების მთავარი გმირია როკვარსკულავი აიდა, რომლისთვისაც რთული აღმოჩნდება გამანადგურებელი სასიყვარულო ურთიერთობისგან თავის დაღწევა. მითის თემატური კონცეფციის გათვალისწინებით, რომანი ორ ნაწილად იყოფა და კარგად ეხმინება მის მთავარ იდეას – სატრფოს მუზასთან გაიგივების საფრთხეს. სრულიად ორიგინალური ამბავი ოსტატურად უღრმავდება ისეთ თემებს, როგორებიცაა ექვიაანობა, ტრავმა და განდიდების გამანადგურებელი ეფექტი.

ვის ალმა-მატერში მას შემდეგ ბრუნდება, რაც დისშვილის მეგობარს კლავენ. მარიანა ექვობს, რომ მკვლელობაზე პასუხისმგებელი შესაძლოა იყოს ქარიზმატული კლასიკური ლიტერატურის პროფესორი ედვარდ ფოსკა, გოგონას სიკვდილი კი უკავშირდებოდა სტუდენტის გოგონების საიდუმლო საზოგადოებას, რომელიც „ქალწულების“ სახელითაა ცნობილი. „ქალწულების“ სახელწოდება, თავის მხრივ, სიკვდილის ქალმკვრთ პერსეფონეს უკავშირდება. ამბავი ნამდვილად ჩახლართულია, ხშირად მკითხველისთვის დამაბნეველი, ყურადღების გადამტანი ხრიკებითა და კვალის ამრევი მანევრებით. ასევე უნდა ითქვას, რომ რომანი ჯეროვან პატივს მიაგებს ბერძნულ ტრადიციას.

ასახავს ერთ დღეს ლეოპოლდ ბლუმის, მისი მეგობრის – სტივენ დედალოსისა და ბევრის დამთმენი ცოლის – მოლის ცხოვრებაში. ჯოისის საყოველთაოდ აღიარებული შედევრი დაყოფილია ეპიზოდებად, რომლებიც მიახლოებით შეესატყვისება ჰომეროსის პოემის ამა თუ იმ მოტივს. „ულისეს“ მასშტაბი და თხრობის სტილი ფრიად შთაბეჭდავია, თუმცა უნდა ითქვას, რომ, ამასთანავე, მკითხველი დიდი მოთმინების უნართავე უნდა გამოირჩეოდეს. რომანს XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ ლიტერატურულ მიღწევად მიიჩნევენ.

ინგლისურიდან თარგმნა ანა ამირხანაშვილმა

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მატრავალი
ფინანსური მენეჯერი ქატიანა დამატრავალი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: პალა გველსინანი, მზია ბარბაქაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური ვოლფგანგ ვანსკი

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862
გაგონის პარასპეობით
დაბეჭდილია შპს „საბარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

ISSN 1987-7806
9 771987 780005